KVINFO
KØN OG LIGESTILLING

საფარი SAPARI

კიბერძალადობის მარეგულირებელი კანონმდებლობების მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობდნენ:

ბაია პატარაია
ეკატერინე მუზაშვილი
მარიამ გეწაძე
გოგა ხატიაშვილი

საფარი © 2024

შინაარსი

კიბერძალადობის მასშტაბი და შედეგები 2
კიბერძალადობის ფორმები 7
სექსუალური შევიწროება ონლაინ სივრცეში....7
გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა 9
სექსტორცია (sextortion) 13
კიბერბულინგი....14
კიბერადევნება 15
სექსთინგი....16
დოქსინგი....16
იმპერსონიზაცია (იმიტაცია) 17
ევროპის საბჭოს კონვენციები....17
GREVIO-ს სტანდარტები....22
ECtHR-ის გადაწყვეტილებები 27
ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობები 32
მუქარა ონლაინ სივრცეში 32
თვალთვალი ონლაინ სივრცეში....33
კიბერძალადობა გენდერის ნიშნით....34
გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა 35
ინტიმური ფოტოებით შანტაჟი 37
კიბერბულინგი....38
კიბერ გრუმინგი....39
კიბერშევიწროება 41
სიძულვილის ენა ონლაინ სივრცეში 43
სხვა არასისხლისსამართლებრივი დებულებები....44
კიბერძალადობის სუბიექტური შემადგენლობა....45
სხვა ქვეყნების გამოცდილება....46
გამოსავლის ძიებაში....51

კიბერძალადობის მასშტაბი და შედეგები

ძალაუფლების დინამიკაში, ეკონომიკურ დისბალანსსა და პატრიარქალურ დამოკიდებულებებში, ფიზიკურ სივრცეში ძალადობის მსგავსად, ონლაინ ძალადობაც ღრმად არის ფესვგადგმული, რაც მამაკაცებთან მიმართებაში, ქალების არასრულფასოვნების იდეას ახალისებს. ეს მავნე რწმენები და დამოკიდებულებები ღრმად არის ჩაკირული საზოგადოებების ცნობიერებაში და, შესაბამისად, ფართომასშტაბიან სოციალურ ცვლილებას საჭიროებს. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, ებრძოლონ ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ ფორმას. ეს არის მათი ყოვლისმომცველი მიდგომის განუყოფელი ნაწილი, ამ სახის ძალადობის თავიდან აცილების, მსხვერპლთა დაცვის, მხარდაჭერისა და მოძალადეებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით[1].

კიბერძალადობას ქალებზე მძიმე სოციალური და ეკონომიკური გავლენა აქვს; კვლევების მიხედვით, 18-დან 24 წლამდე ასაკის ქალები არიან ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ, ადევნების, სექსუალური შევიწროებისა და ფიზიკური მუქარის პრობლემის მხრივ[2]. ევროკავშირის მონაცემებით, ჯერ კიდევ 2015 წელს, გოგონების 18%-ს (დაახლოებით 9 მილიონი ქალი) განუცდია ინტერნეტ ძალადობის სერიოზული ფორმები 15 წლის ასაკში[3]. იგივე კვლევის მიხედვით, გამოკითხული 86 ქვეყნის 74%-ში, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლოები ვერ იღებდნენ შესაბამის ზომებს კიბერძალადობის წინააღმდეგ[4]. დღეის მდგომარეობით, საკანონმდებლო ბაზა გაუმჯობესებულია, თუმცა, კიბერძალადობის გავრცელების ტენდენცია გაცილებით ფართოა, რადგან სოციალური ქსელების გამოყენების მასშტაბი არნახულადაა გაზრდილი. მობილურ ტელეფონზე ინტერნეტის გამოყენებით, დამნაშავეები ადვილად სწვდებიან თავიანთ სამიზნეებს.

---

1 GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 18. პარა. 35.

2 Final report of the Broadband Commission Working Group on Gender, September 2015, Combatting Online Violence Against Women & Girls: A Worldwide Wake-up Call, Highlights.

3 Final report of the Broadband Commission Working Group on Gender, September 2015, Combatting Online Violence Against Women & Girls: A Worldwide Wake-up Call, Highlights.

4 Final report of the Broadband Commission Working Group on Gender, September 2015, Combatting Online Violence Against Women & Girls: A Worldwide Wake-up Call, Highlights.

მათ ერთდროულად მრავალი ადამიანის შევიწროება შეუძლიათ.

ასევე, ამ დროს შესაძლებელია ანონიმურობის პოტენციურად შენარჩუნება, რაც უფრო ართულებს დანაშაულის რეგულირების პროცესს[5].

2021 წლის მონაცემებით, ყოველ მეორე ახალგაზრდა ქალს გამოუცდია კიბერძალადობა[6].

2021 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (შემდგომში: გაერო) ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა „ჩრდილოვან პანდემიად“ გამოაცხადა[7]. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ კიბერძალადობა მზარდი დანაშაულია და მის მოგვარებას სახელმწიფოების მხრიდან ადეკვატური ძალისხმევა სჭირდება.

გოგონები ონლაინ ძალადობის სამიზნეებად შესაძლოა, იქცნენ მხოლოდ თავიანთი სქესისა და ახალგაზრდა ასაკის გამო, და თუ საქმე ეხება მათ პოლიტიკურ შეხედულებებს, შეზღუდულ შესაძლებლობას, კანის ფერს ან LGBTIQ+-ად იდენტიფიცირებას, ძალადობის ხარისხი უარესდება. მოსაზრების გამო შევიწროების ხარისხი, შესაძლოა, მერყეობდეს დამცირებიდან და ძალადობის მუქარიდან, არასასურველი პორნოგრაფიული გამოსახულებების ძალით დემონსტრირებამდე. ზოგადად შევიწროების მსგავსად, ონლაინ შევიწროება არის განგრძობადი, ხშირად ფსიქოლოგიურად დამაზიანებელი პროცესი, რომელმაც შესაძლოა, გამოიწვიოს ფიზიკური ზიანიც[8].

ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ონლაინ უსაფრთხოება ადამიანის უფლებების ფუნდამენტური საკითხია. სოციალური მედიის პლატფორმები გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს დებატებისთვის სივრცეებს უთმობენ, მაგრამ რაც უფრო ხშირად საუბრობენ გოგონები, მით ხშირად ემუქრებიან და ამცირებენ მათ. შევიწროება არ უნდა ზღუდავდეს გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების უფლებას, ისარგებლონ ყველა იმ შესაძლებლობით, რომელსაც სოციალური მედია გვთავაზობს. დისკუსიები მათთვის საინტერესო საკითხებზე, მათი სხვადასხვა აქტივობა ან აზრის გამოხატვის უფლება შეფერხებულია სისტემატური ბულინგის გამო. ამაზე პასუხს არც პლატფორმები აგებენ და არც - დამნაშავეები[9].

---

5 Cyber Sexual Harassment: A Summary of Current Measures and Implications for Future Research, Elizabeth Reed, Alice Wong and Anita Raj, 2019, 2.

6 European Parliamentary Research Service (EPRS), Combating gender-based violence: Cyberviolence, European added value assessment, 2021.

7 UN Women, ‘Measuring the Shadow Pandemic: Violence against Women during COVID-19’ (2021) <https://data. unwomen.org/sites/default/files/documents/Publications/Measuring-shadow-pandemic.pdf> ნანახია: 19 თებერვალი, 2024.

8 Free to be online? Girls’ and young women’s experiences of online harassment, Plan International, Girls Get Equal, 2020, 8.

9 Free to be online? Girls’ and young women’s experiences of online harassment, Plan International, Girls Get Equal, 2020, 8.

ქალების 30%-ს ევროკავშირის მასშტაბით ეშინია, რომ მათი ყალბ ინტიმურ სურათებს გააზიარებენ მათი თანხმობის გარეშე; ამასთან, მსგავსი რამ შესაძლებელია „გაშიშვლების“ აპლიკაციების გამოყენებით, რომელზე წვდომაც აქვს მილიონობით ადამიანს მთელს მსოფლიოში. აპლიკაციები შესაძლებლობას იძლევა, არასექსუალური ხასიათის ფოტოების ატვირთვის შედეგად, ისინი თითქმის მყისიერად გადააქციოს შიშველ ფოტოებად. ბევრმა ქალმა და გოგონამ, შესაძლოა, არც კი იცოდეს, რომ მსგავსი ძალადობის მსხვერპლი გახდა[10].

ამ საკითხის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა იწვევს კიბერთავდასხმებს და ეროვნული ხელისუფლების მიერ ქალებზე ძალადობის საკითხის ნაკლებ სერიოზულად აღქმას, როგორც ფიზიკურ სივრცეში ძალადობისა. უფრო მეტიც: სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლო ხელისუფლებას ხშირად არ გააჩნიათ საჭირო ტექნიკური მომზადება, რათა შეძლონ ძალადობის მსგავსი ინციდენტების ეფექტური გამოიძება[11].

2022 წლის მარტში, ევროკომისიამ გამოაქვეყნა წინადადება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დირექტივის შესახებ[12].

დირექტივის საერთო მიზანია „ეფექტური ბრძოლა ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობასთან, ევროკავშირის მასშტაბით“, სისხლის სამართლის დანაშაულებისა და სასჯელების განსაზღვრის შესაბამისი მინიმალური წესების დადგენით, ასევე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობით, მსხვერპლთა მხარდაჭერითა და დანაშაულის პრევენციით. აღნიშნული დოკუმენტი კიბერძალადობად განიხილავს, მათ შორის, ინტიმური შინაარსის მასალის თანხმობის გარეშე მანიპულირებას ან გავრცელებას, კიბერადევნებას და კიბერშევიწროებას და აღნიშნავს, რომ კიბერძალადობა, განსაკუთრებით ქალების წინააღმდეგ, გამოიყენება და წახალისებულია ძალადობრივი მემარჯვენე ექსტრემისტული და ტერორისტული ჯგუფების მიერ. კიბერძალადობას განსაკუთრებით იყენებენ ქალი პოლიტიკოსების, ჟურნალისტების და ადამიანის უფლებადამცველების წინააღმდეგ, მათ გასაჩუმებლად[13].

---

[10] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 457-458; '"Nudifying" AI Tools Which "Undress" Women in Photos Are Gaining Traction, but What Is Being Done to Stop It, and How Can We Protect Our Images Online?' Glamour, 7 December 2021, < https://www.glamourmagazine.co.uk/article/nudification-intimate-image-abuse >, ნანახია 19 თებერვალი 2024.

[11] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 18. პარა. 34.

[12] European Commission Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on combating violence against women and domestic violence', 2022 <https://eur-lex.europa.eu/legal- content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52022PC0105>, ნანახია: 19 თებერვალი, 2024.

[13] Ibid.

კიბერძალადობა არ არის კანონის ის კატეგორია, რომელიც საერთოა მრავალი იურისდიქციისთვის და, შესაბამისად, იმის დადგენა, თუ რამდენად ფარავს არსებული კანონები ასეთ ქცევებს, არ არის მარტივი. ნაწილობრივ, ეს გამოწვეულია იმით, რომ სისხლისსამართლებრივი კანონები, ისევე, როგორც ზოგადად კანონები, თავდაპირველად არ იყო შემუშავებული გენდერული ზიანის აღმოსაფხვრელად: სისხლის სამართლის საერთო კატეგორიები დიდი ხანია, ვერ ასახავს ქალთა ზიანს და გამოცდილებას და კანონებით კრიმინალიზებულია დანაშაულის მხოლოდ კონკრეტული კატეგორიები. ამასთან, სამართლებრივი სისტემები მუდმივად ჩამორჩება ტექნოლიგიურ განვითარებას[14].

ქალთა მიმართ ძალადობის მრავალი ახალი ფორმა არსებობს - ***„დოქსინგი“***, ***„სექსტორცია“*** და ***„ტროლინგი“***. ქალთა მიმართ ძალადობის ზოგიერთ ფორმას აქვს პრეფიქსი „ონლაინ“ - ონლაინ მობინგი, ონლაინ ადევნება და ონლაინ შევიწროება. ასევე, განვითარდა ძალადობის სხვა ისეთი ფორმებიც, როგორიცაა ინტიმური შინაარსის არაკონსენსუალური გავრცელება (ე. წ. „შურისძიების პორნო“)[15].

2021 წელს, ევროპარლამენტმა მოუწოდა ევროკავშირს და მის წევრ ქვეყნებს, მიიღონ ზომები ქალთა მიმართ კიბერძალადობის აღმოსაფხვრელად, რადგან, უმეტესად, კიბერძალადობა დაკავშირებულია ფიზიკურ სივრცეში ძალადობასთან და მის გაგრძელებას წარმოადგენს[16]. ასევე, მან დაასახელა ონლაინ ძალადობის ფორმების ფართო სპექტრი. ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ დანაშაულად შეიძლება, ჩაითვალოს „ონლაინ სექსუალური და ფსიქოლოგიური შევიწროება,

---

[14] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 460; 'Regulating New Technologies in Times of Change", Ronald Leenes, (Springer) 9.

[15] Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on online violence against women and girls from a human rights perspective, General Assembly, 18 June 2018, A/HRC/38/47, პარა. 33.

[16] European Parliament resolution of 14 December 2021 with recommendations to the Commission on combating gender- based violence: cyberviolence (n 6) Recital F; European Parliament resolution of 16 September 2021 with recommendations to the Commission on identifying gender-based violence as a new area of crime listed in Article 83(1) TFEU (n 6) Recital C.

კიბერდაშინება, სექსუალური ფოტოების არაკონსენსუალური გამჟღავნება, სექსისტური სიძულვილის ენა ონლაინ და ონლაინ შევიწროების ისეთი ახალი ფორმები, როგორიცაა „ზუმ ბომბინგი“ ან „მუქარა ინტერნეტში“[17]. კერძოდ, მან ცალსახად დააიდენტიფიცირა „გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა“, მათ შორის შემთხვევები, როდესაც „სექსუალური შეხვედრის ჩაწერა ან გავრცელება თანხმობის გარეშე“ არის „იარაღად გამოყენებული“ ქალების წინააღმდეგ, ასევე ***„დიპფეიკ“*** პორნოგრაფიის მზარდი პრობლემა, რომლის დროსაც, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება ქალთა ექსპლუატაციის, დამცირების, შევიწროების მიზნით[18].

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, მიმოიხილოს კიბერძალადობასთან დაკავშირებული რეგულაციები როგორც საერთაშორისო ინსტრუმენტებში, ისე - სახელმწიფო შიდა კანონმდებლობებში, რათა საშუალება მოგვეცეს, ნათლად დავინახოთ საკანონმდებლო ხარვეზები ამ სფეროში და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობები.

კიბერძალადობის ფორმები

სექსუალური შევიწროება ონლაინ სივრცეში

კიბერძალადობის სახეობებს შორის, სექსუალური შევიწროება ონლაინ სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგი განიმარტება, როგორც სექსუალურად აგრესიული ან შემავიწროებელი გამოსახულებების ან ტექსტების ერთობლიობა, გამოყენებული ციფრული საშუალებებით[19]. კიბერ სექსუალური შევიწროების მკვლევარები რიდი, ვონგი და რაი თავიანთ პუბლიკაციაში საუბრობენ ამ დანაშაულის გენდერულ ხასიათზე და უმძიმეს სოციალურ გავლენებზე მოზარდი გოგოების ქცევებსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მკვლევარების თანახმად, კიბერ სექსუალური შევიწროება ძირითადად გამოიხატება სამი ფორმით:

---

[17] European Parliament resolution of 16 September 2021 with recommendations to the Commission on identifying gender-based violence as a new area of crime listed in Article 83(1) TFEU (n 6) პარა. 33.

[18] European Parliament resolution of 14 December 2021 with recommendations to the Commission on combating gender-based violence: cyberviolence (n 6) Recitals T-U.

[19] Cyber Sexual Harassment: A Summary of Current Measures and Implications for Future Research, Elizabeth Reed, Alice Wong and Anita Raj, 2019, 2.

(1) სექსუალური შინაარსის არასასურველი მოთხოვნები; **(2)** სექსუალური შინაარსის არასასურველი მინაწერები/ფოტოსურათები; **(3)** მსხვერპლის თანხმობის გარეშე გაზიარებული სექსუალური შინაარსის მიმოწერები/ფოტოსურათები[20]:

- **სექსუალური შინაარსის არასასურველი მოთხოვნები** გულისხმობს მოთხოვნებს, რომ მსხვერპლმა მონაწილეობა უნდა მიიღოს სექსუალური ხასიათის ქცევებში. მაგალითად, მოთხოვნა, რომ გაიცვალოს სექსუალური შინაარსის ფოტოსურათები/ მიმოწერები, რომ მსხვერპლს ჰქონდეს დამნაშავესთან სექსუალური ურთიერთობა და სექსუალური ქცევა ვიდეოკამერის წინ.
- **სექსუალური შინაარსის არასასურველი მინაწერების/ფოტოსურათების მიღება**, იგივე არასასურველი „სექსთინგი", მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა არასასურველი სექსუალური ფოტოების, ელფოსტის, ტექსტური შეტყობინებების ან კომენტარების მიღება.
- **მსხვერპლის თანხმობის გარეშე გაზიარებული სექსუალური შინაარსის მიმოწერები/ ფოტოსურათები**, ასევე ცნობილი, როგორც „შურისძიების პორნო". მსხვერპლის ფოტოსურათები, მიმოწერები შესაძლოა, გავრცელდეს პირადი შეტყობინების საშუალებით, მესამე პირისთვის გაზიარებით, ან საჯაროდ.

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს, გაიგზავნა თუ არა სექსუალური შინაარსის სურათი/შეტყობინება პირადი შეტყობინების სახით, თუ ელფოსტის მეშვეობით, მასობრივად. ასევე, დასადგენია, მიღებული სექსუალური სურათები უშუალოდ გამომგზავნს ეკუთვნის, თუ ონლაინაა მოძიებული, რადგან ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს, გამგზავნის განზრახვისა და კომუნიკაციის მეორე მხარეზე გავლენის მიხედვით. გარდა ამისა, დანაშაულის ელემენტები უკეთ უნდა გამოიკვეთოს, აქცენტი უნდა გაკეთდეს კომუნიკაციის არასასურველ ხასიათზე. შეჯამებისთვის, საჭიროა, ელემენტები განისაზღვროს კონტექსტის (პირადი და ჯგუფური შეტყობინების), შინაარსის (მაგ., აზიარებს თუ არა გამომგზავნი პირად სექსუალური ხასიათის ფოტოს) და კომუნიკაციის მეორე მხარის თანხმობის არსებობის უკეთ შესაფასებლად[21]. ონლაინ შევიწროება შეიძლება, განახორციელოს როგორც ერთმა ინდივიდმა, ასევე - ინდივიდების ჯგუფმა (მობინგი). როგორც წესი, ასე იქცევიან მოძალადე მამაკაცების ონლაინ დაჯგუფებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ქალების და უმცირესობების შევიწროებას[22].

---

[20] Cyber Sexual Harassment: A Summary of Current Measures and Implications for Future Research, Elizabeth Reed, Alice Wong and Anita Raj, 2019, 2-9.

[21] Cyber Sexual Harassment: A Summary of Current Measures and Implications for Future Research, Elizabeth Reed, Alice Wong and Anita Raj, 2019, 9.

[22] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women and Girls (CVAWG), UNODC, 2022, 40; VAW Learning Network (2013). Technology-related Violence Against Women. Available online at < https://gbvlearningnetwork.ca/our-work/issuebased_newsletters/ >.

გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა

გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა არის ტერმინი, რომელიც მოიცავს ინტიმური ფოტო ან ვიდეოკონტენტის შექმნას, მასზე ასახული პერსონის/პერსონების თანხმობის გარეშე, ამ მასალის გადაღების ან გაზიარების ყველა ფორმას, მათ შორის - შეცვლილ ან მანიპულირებულ მედიაპროდუქტს, და ასეთი მასალის გავრცელების მუქარას. ეს არის „ქოლგა“ ტერმინი, რომელიც აღწერს ძალადობის ურთიერთდაკავშირებულ ფორმებს და, შესაბამისად, არ შემოიფარგლება ინტიმური მასალების არაკონსენსუალური გავრცელებით[23].

ტერმინი „გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა“ მოიცავს როგორც „შურისძიებისპორნოს“, როდესაც ყოფილი პარტნიორები ინტიმურ მასალას თანხმობის გარეშე ავრცელებენ, ასევე სხვა ქმედებებს, როგორიცაა მუქარა, გააზიარონ ფოტოსურათები და მიმოწერა თანხმობის გარეშე, და მოპარული სურათების გაზიარება. მნიშვნელოვანია, რომ ტერმინი „გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა“ სცილდება გავრცელებას და მოიცავს ინტიმური სურათების ან ვიდეოების არაკონსენსუალურ შექმნას, ასევე ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, არასექსუალური შინაარსის ფოტოსურათების სექსუალურად ან პორნოგრაფიულად გადაკეთებასაც (ამ ხერხს ხშირად *დიფფეიკს “deepfakes”* უწოდებენ). ასევე, ის მოიცავს ინტიმური სურათების გადაღებას მასზე ასახული პირის თანხმობის გარეშე, მათ შორის ისეთ შემთხვევებს, როდესაც მსხვერპლს იღებენ ფარულად, სამოსის გამოცვლისას, შხაპის მიღებისას, ძილის დროს, ნარკოტიკის ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფს, ასევე ფარული კამერების დახმარებით საჯარო ადგილებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ან იძულების შედეგად. ძალადობის ასეთ ფორმები მოიცავს *„აფსქირთინგს“ (upskirting)*, *„სექსტორციას“ (sextortion)* და სექსუალური ძალადობის ამსახველი ფოტოსურათების გადაღებასა და გავრცელებას[24].

ტერმინი „გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა“ შეიქმნა ტერმინ *„შურისძიების პორნოს“* საპასუხოდ, რომელიც კვლავაც გამოიყენება მთელ მსოფლიოში, მაგრამ შეცდომაში შემყვანია. მრავალი მსხვერპლი ფიქრობს, რომ ეს ტერმინი მიანიშნებს მათ გარკვეულ პასუხისმგებლობაზე,

---

[23] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 454-455; Clare McGlynn, Erika Rackley and Ruth Houghton, 'Beyond "Revenge Porn": The Continuum of Image-Based Sexual Abuse', 2017, 25.

[24] Ibid.

ქმედებაზე, რასაც მოჰყვა “შურისძიება”. ტერმინი ასევე იმიტომაა არასწორი, რომ ფოკუსირებულია ძალადობის მხოლოდ ერთ ფორმაზე და მოტივაციაზე და არ ასახავს მსხვერპლთა ინტერესებს ან გამოცდილებას[25].

1980-იან წლებში, პირველი სასამართლო საქმე შეეხო ჟურნალს, რომელშიც ქალების შიშველი ფოტოები იყო განთავსებული, მათი პირადი მონაცემების თანხლებით. 2008 წელს შეიქმნა მსგავსი შინაარსის ახალი ონლაინ ვებგვერდი IsAnyoneUp.com და ჩვენ ვიხილეთ კიბერ შევიწროების და შურისძიების პორნოს დამანგრეველი შედეგები.

აღნიშნულ ვებგვერდზე მომხმარებლებს უფლება ჰქონდათ, აეტვირთათ თავიანთი ოდესღაც საყვარელი ადამიანების პირადი ფოტოსურათები, მათივე პირადი დეტალებით. მხოლოდ ერთ თვეში, ვებგვერდს გაუჩნდა განსაცვიფრებელი რაოდენობის - 30 მილიონი მომხმარებელი. საიტი დაიხურა 2012 წელს[26].

გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობის შემთხვევების რაოდენობაც საგანგაშოა. კარლოტა რიგოტი თავის 2022 წლის კვლევაში მიმოიხილავს სტატისტიკებს სხვადასხვა ქვეყნებში და შედეგად, სავალალო სურათს გვთავაზობს[27]: მაგალითად, 2020 წელს, ირლანდიელი ქალებისა და გოგონების 100 000-ზე მეტი სურათი გავრცელდა ინტერნეტში, რამაც საბოლოოდ, გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის კრიმინალიზება გამოიწვია. მსგავსი გამოცდილება დაფიქსირდა სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, იტალიაში. აქ ახლახან აღმოაჩინეს ვებგვერდები, სადაც ათასობით მომხმარებელი აზიარებდა სექსუალურ სურათებს, მასზე ასახული პირების თანხმობის გარეშე.

2021 წლის კვლევის მიხედვით, რომელიც 51 ქვეყანაში ჩატარდა, მრავალი ევროპული ქვეყნის ჩათვლით,
ქალების 57% გამხდარა გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.



[25] Ibid.

[26] The Criminalisation of Revenge Pornography, Elaine Degiorgio, Elsa Malta Law Review, 113: Lajuan and Billy Wood vs. Hustler Magazine, Inc. 736 F.2d 1084 (5th Cir. 1984) U.S. Court of Appeals for The Fifth Circuit - 736 F.2d 1084 (5th Cir. 1984) (July 23, 1984).

[27] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission’s proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 456; ‘Garda´ı, Looking into Allegations That Large Number of Images of Women Were Shared Online without Their Consent’ 19 November 2020 < https://www.thejournal.ie/images-of-irish-women-shared-without-consent-5271799-Nov2020/ > ნანახია: 19 თებერვალი 2024.

ახალ ზელანდიასა და დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა კვლევამ კი აჩვენა, რომ ყოველი მესამე ზრდასრული ადამიანი არის გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ამასთან, ირლანდიის ბოლო სტატისტიკის მიხედვით, გასულ წელს ინტიმური სურათების გაზიარების მუქარის შემთხვევები 85%-ით გაიზარდა; ინტერნეტში ვაჭრობის მიზნით, ქალების ათასობით ყალბი პორნოგრაფიული სურათი იქმნება. ასევე, აღნიშნული კვლევა გვამცნობს, რომ მსხვერპლები ძირითადად არიან ახალგაზრდები, სექსუალური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, შშმ პირები და ფერადკანიანები[28].

ისრაელელი კანონმდებელი იფატ კარივი ამ დანაშაულს „ვირტუალურ გაუპატიურებას“ უწოდებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უფრო მკაცრი კანონი უნდა არსებობდეს ასეთი დანაშაულის მაჩვენებლის შესამცირებლად. ისრაელის ახალი კანონის თანახმად, დამნაშავეს, შესაძლოა, ამის გამო ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა დაემუქროს. გარდა ამისა, როგორც სამოქალაქო დანაშაული, დაზარალებულზე შეიძლება, გაიცეს კომპენსაცია 50 000 NIS-ის ოდენობით, ზიანის დადასტურების გარეშე. მეტიც: შესაძლებელია უფრო მაღალი კომპენსაციის გაცემა, თუ რეალური ზიანი დადასტურდა. შესაბამისად, ისრაელში არ არის საჭირო ზიანის დამტკიცება, მაგრამ ზარალი საკმარისია კომპენსაციის მისაღებად[29].

სისხლის სამართლებრივი ჩარჩოების უმეტესობა სექსუალურ ხასიათს განსაზღვრავს გამოსახული პიროვნების სიშიშვლის და/ან მისი სექსუალურ აქტივობებში ჩართულობის მიხედვით. ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლებმა დააკონკრეტეს ინტიმური ადგილები, რომელიც სპეციალურად არის დაცული მხედველობის არიდან და დაასახელეს სხეულის კონკრეტული ნაწილები, რომელიც უნდა დაიფაროს. ამ გზით, სავარაუდოდ, კანონი ასევე ეხება გასახდელებში, საპირფარეშოებსა და სხვა საჯარო სივრცეებში თანხმობის გარეშე გადაღებულ შიშველ ფოტოებს. კიდევ ერთი მიდგომა არის არეალის გამოკვეთა “ინტიმური” სურათების მითითებით. ეს ტერმინოლოგიურად შეიძლება, გამოიხატებოდეს სიტყვის „სექსუალური“ სინონიმით, ჩართული იყოს, როგორც დამატებითი განმარტება, ან გააფართოვოს მისი ფარგლები[30].

---

[28] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission’s proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 457; ‘The Psychology of Nonconsensual Porn: Understanding and Addressing a Growing Form of Sexual Violence’, Asia A. Eaton and Clare McGlynn, Policy Insights from the Behavioral and Brain Sciences, 2020, 190.

[29] The Criminalisation of Revenge Pornography, Elaine Degiorgio, Elsa Malta Law Review, 121; Yifa Yaakov, ‘Israeli Law Makes Revenge Porn a Sex Crime’ The Times Of Israel, 6 January 2014, < https://www.timesofisrael.com/israeli- law-labels-revenge-porn-a-sex-crime/ >, ნანახია 2024 წ. 19 თებერვალს.

[30] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission’s proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 463.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ "ინტიმური" გამოსახულებების ტერმინოლოგია შეიძლება, უფრო ფართოდ იქნას განმარტებული, კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით. კერძოდ, ის შეიძლება, ვრცელდებოდეს იმ სურათებზე, რომელიც მიჩნეულია სექსუალურად და/ან ინტიმურად ზოგიერთ უმცირესობათა თემებში (მაგალითად, თავსაბურავის ან სხვა რელიგიური ჩაცმულობის არქონა ფოტოზე)[31].

ასევე, გვხვდება უფრო ფართო განმარტებები. მაგალითად, შვედური კანონები „ინტრუზიული ფოტოგრაფიის შესახებ", მოიცავს პირის პირად სივრცეში გადაღებულ ფარულ ფოტოებს. ბელგიის სისხლის სამართლის დებულებები „ვუაიერიზმის" შესახებ, მიმართულია სხეულის კონკრეტული ნაწილის გამჟღავნებაზე და კონცენტრირებულია იმაზე, დაფარავდა თუ არა სხეულის მოცემულ ნაწილს ადამიანი, რომ სცოდნოდა, რომ ვინმე უღებდა[32].

ცალკე საკითხია, გამორიცხავს თუ არა კანონები სურათებს, რომელიც თავდაპირველად იქნა გადაღებული ან გაზიარებული თანხმობით. ასეთი განსხვავებები შემოაქვს ბრალის ელემენტებს, რომლის მიხედვითაც, მსხვერპლი პასუხისმგებელია საკუთარ ზიანზე, რადგან ისინი თავდაპირველად თავად აზიარებდნენ სურათს, თუმცა შემდგომი გაზიარების თანხმობის გარეშე. არ უნდა არსებობდეს ასეთი სახის განსხვავებები, რადგან აქცენტი უნდა გაკეთდეს ნებისმიერ შემდგომ არაკონსენსუალურ გადაღებაზე ან გავრცელებაზე, იმისდა მიუხედავად, სურათი პირველად თანხმობით იქნა გადაღებული და გაზიარებული თუ - არა[33].

ქვეყნებში არსებობს დანაშაულად კვალიფიკაციის განსხვავებული მოთხოვნები, როგორიცაა, მაგალითად, ქმედების განმეორებითობა (რათა გამოიკვეთოს არასასურველი ქმედების არაერთჯერადად ჩადენა, მსხვერპლის დევნა და მისი

---

[31] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 463; English Law Commission (n 46) 84-86.

[32] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 463; Chapter 4 Section 6a. Swedish Criminal Code; Article 417/8 Belgian Criminal Code.

[33] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 464;

ამ გზით შევიწროება ან გაზიარებული ფოტოსურათის აშკარა პორნოგრაფიული შინაარსი, განსაკუთრებით აშკარა ან უცენზურო სურათები). მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული განმარტებები არ აწესებს პასუხისმგებლობას ერთჯერადი ქმედებისთვის და დანაშაულად კვალიფიკაციისთვის დამატებით გარემოებების საჭიროებაზე უსვამს ხაზს, მაინც შეგვიძლია, მივიჩნიოთ, რომ არსებობს კონსენსუსი ინტიმური გამოსახულების ზოგიერთი ფორმის უნებართვო გამოყენების კრიმინალიზაციის გარშემო[34].

ცალკე რეგულირება არსებობს თანხმობის გარეშე მოპოვებულ ინტიმურ კადრებზე. მაგალითად, კანონმდებლობით კრიმინალიზებულია სხეულის იმ ინტიმური ნაწილების გადაღება, რომელიც ადამიანმა დაიცვა საზოგადოების მხედველობისგან (მათ შორის *„აფსქირთინგი“* და *„დაუნგლაუზინგს“*, ან სიტუაცია, როდესაც პირი იმყოფება საზოგადოებრივი მხედველობისგან სპეციალურად დაფარულ საცხოვრებელ სახლში ან ოთახში).

გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა მოტივებისა და მსხვერპლთა შესახებ მითებით საზრდოობს. რეალობა ისაა, რომ გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური შეურაცხყოფა მოტივირებულია კონტროლით. ბევრი მსხვერპლი განიცდის დამანგრეველ ზიანს ორმაგი სექსუალური სტანდარტებისა და ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის გამო. მხარდაჭერის ნაკლებობა მსხვერპლებს იზოლაციაში ტოვებს[35].

სექსტორცია (sextortion)

სექსტორცია განიმარტება, როგორც „უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სექსუალური სარგებლის ან უპირატესობის მისაღებად“[36]. ონლაინ მოძალადეები იყენებენ ყალბ პროფილებს, რათა გაესაუბრონ და მოატყუონ მსხვერპლი სოციალურ ქსელებში. მსხვერპლთა ნდობის მოპოვების შემდეგ, ისინი არწმუნებენ მათ, ჩაერთონ ვიდეოზარებში, ან გაუგზავნონ პირადი ინტიმური ფოტოები. შედეგად, ონლაინ მოძალადეები ამ ვიდეოებსა და სურათებს იღებენ და იწერენ, შემდგომში კი იყენებენ მსხვერპლთა მორალური შევიწროებისა და გამოძალვის მიზნით, ასევე ფულადი სარგებლის მისაღებად. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც

---

[34] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 465.

[35] Shattering Lives and Myths: A Report on Image-Based Sexual Abuse. Australian Research Council (ARC), McGlynn, C. et al, 2019, 1.

[36] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women And Girls (CVAWG), UNODC, 2022, 39; International Association of Women Judges (IAWJ): Naming, Shaming, and Ending Sextortion – A Toolkit (2012) < https://www.unodc.org/res/ji/import/guide/naming_shaming_ending_sextortion/naming_shaming_ending_sextortion .pdf > ნანახია 2024 წ. 24 თებერვალს.

მსხვერპლი უარს ამბობს ონლაინ მოძალადის სასურველ მოქმედებაზე, მისი სურათები განთავსდება სოციალურ ქსელში ან ეგზავნება მსხვერპლის მეგობრებს[37]. ამ დანაშაულის მსხვერპლები ხდებიან ბავშვებიც და კაცებიც.

კიბერბულინგი

კიბერბულინგი შეიძლება, მოხდეს ციფრული მოწყობილობების მეშვეობით, როგორიცაა მობილური ტელეფონები, კომპიუტერები და ტაბლეტები, მიმოწერის, აპლიკაციების, ონლაინ სოციალური მედიის, ფორუმების გამოყენებისას ან თამაშების დროს, ანუ ყველგან, სადაც ადამიანებს შეუძლიათ კონტენტის გაცვლა და მიმოწერა. კიბერბულინგი მოიცავს სხვის შესახებ ნეგატიური, საზიანო, ყალბი ან უაზრო შინაარსის გაგზავნას, გამოქვეყნებას ან გაზიარებას. იგი შეიძლება, შეიცავდეს სხვის პირადი ინფორმაციის გაზიარებას, რომელიც იწვევს უხერხულობის ან დამცირების შეგრძნებას მსხვერპლში. კიბერბულერებმა შეიძლება, ასევე, გაგზავნონ მუქარის შემცველი ან სასტიკი შინაარსის შეტყობინებები, ან სხვა პირად გაასაღონ თავი, მსხვერპლისთვის უხერხული ან გამაღიზიანებელი შეტყობინებების გაგზავნის მიზნით. ონლაინ ბულერს უწოდებენ ინტერნეტ ტროლს - პირს, რომელიც შეგნებულად ცდილობს, შეურაცხყოფა მიაყენოს, გამოიწვიოს პრობლემები ან პირდაპირ შეუტიოს ადამიანებს[38]. კიბერბულინგი, როგორც წესი, განიხილება, როგორც არასრულწლოვანთა შორის (18 წლამდე ასაკის პირის) ან არასრულწლოვნის მიმართ მომხდარი დანაშაული. მოძალადეს უმეტესად ანონიმურობის განცდა აქვს, რადგან არასრულწლოვნებს ხშირად არ სურთ, აცნობონ უფროსებს მათ წინააღმდეგ წარმოებული ონლაინ ბულინგის შესახებ.

---

[37] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women and Girls (CVAWG), UNODC, 2022, 39; MAUCORS (The Mauritian Cybercrime Online Reporting System): Sextortion, <https://maucors.govmu.org/maucors/?page_id=1073 >.

[38] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women and Girls (CVAWG), UNODC, 2022, 39. Internet trolling: A definition. <https://www.endsleigh.co.uk/blog/post/what-is-internet-trolling/ >.

კიბერბულინგი ყველაზე ხშირად ხდება სოციალური მედიის საშუალებით, მათ შორის - Facebook-ზე, Instagram-ზე, Snapchat-სა და TikTok-ზე[39].

კიბერბულინგი არის:[40]

- მუდმივი – ციფრული მოწყობილობების საშუალებით, შეგვიძლია, 24 საათის განმავლობაში მყისიერად და უწყვეტად გვქონდეს კომუნიკაცია. ამიტომ, კიბერბულინგის მსხვერპლ ბავშვებს შეიძლება, გაუჭირდეთ მისგან თავის დაღწევა;

- პერმანენტული – ელექტრონულად გადაცემული ინფორმაციის უმეტესობა მუდმივი და საჯაროა, თუ არ არის წაშლილი. ნეგატიურმა ონლაინ რეპუტაციამ, მათ შორის დაშინებამ, შეიძლება, გავლენა იქონიოს პირის განათლებაზე, მის კოლეჯში თუ უნივერსიტეტში მიღებაზე, დასაქმებაზე და ცხოვრების სხვა სფეროებზე.

- ძნელი შესამჩნევი – იმის გამო, რომ არასრულწლოვნების მასწავლებლებმა და მშობლებმა შესაძლოა, ვერ გაიგონ ან ვერ შეამჩნიონ კიბერბულინგი, უფრო რთულია მისი ამოცნობა.

კიბერადევნება

კიბერბულინგთან დაკავშირებული კონცეფცია კიბერადევნება, უფრო ხშირად გამოიყენება უფროსებთან მიმართებაში, ვიდრე - არასრულწლოვნებთან. თუმცა, ნებისმიერი ასაკის ადამიანი შეიძლება, გახდეს კიბერადევნების მსხვერპლი. კიბერადევნება შეიძლება, განისაზღვროს, როგორც ინტერნეტის გამოყენება სხვის მიმართ საფრთხის შექმნის ან არასასურველი შედეგის გამოსაწვევად. კიბერადევნება შეიძლება, შეფასდეს, როგორც „ტექნოლოგიის გამოყენება ვინმეს საქმიანობისა და ქცევის თვალყურის დევნების და მონიტორინგისთვის, რეალურ დროში ან წარსულში“[41].

---

[39] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women and Girls (CVAWG), UNODC, 2022, 39.

[40] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women and Girls (CVAWG), UNODC, 2022, 40.

[41] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women and Girls (CVAWG), UNODC, 2022, 40; UNFPA-Technology-Facilitated GBV (TFGBV) -Making All Spaces Safe, 2021, <https://asiapacific.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/unfpa-tfgbv-making_ all_spaces_safe.pdf >. (ლინკი არ იხსნება)

სექსთინგი

სექსთინგი არის სიტყვების "სექსი" და "ტექსტი" კომბინაცია. ის შეიძლება, განისაზღვროს, როგორც გამოკვეთილი სექსუალური შინაარსის მქონე შეტყობინებების, საკუთარი თავის შიშველი ან ნახევრად შიშველი სურათების მიმოცვლა მობილური ტელეფონის ან ინტერნეტის საშუალებით, სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენებით, როგორიცაა მყისიერი შეტყობინებები Facebook-ზე, Twitter-ზე, ელფოსტაზე და სხვა[42]. სექსტინგში გამოყენებული იმიჯები და ფოტოები, როგორც წესი, ნებაყოფლობითაა შექმნილი ადამიანის მიერ საკუთარ თავზე, თუმცა, შესაძლოა, რომ ასეთი შინაარსის მასალის შექმნაც არ იყოს ნებაყოფლობითი და ხდებოდეს იძულებით ან ზეწოლით, განსაკუთრებით - არასრულწლოვნების მიმართ[43]. სექსტინგის გავრცელებაც შესაძლოა, იყოს ან არ იყოს ნებაყოფლობითი.

დოქსინგი

დოქსინგი არის პირადი ინფორმაციის არაკონსენსუალური გამჟღავნება. ის გულისხმობს ინდივიდის პირადი ინფორმაციის საჯარო გამოქვეყნებას - სახლისა და ელექტრონული ფოსტის მისამართების, ტელეფონის ნომრების, დამსაქმებლისა და ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციის ან სხვა სახის პირადი ინფორმაციის. დოქსინგი არის ონლაინ რეჟიმში შევიწროება, რომელიც იშვიათად ხდება იზოლირებულად. უფრო ხშირად, მას თან ახლავს შევიწროების სხვა ფორმები, მაგალითად, გამოსახულებაზე დაფუძნებული ძალადობა; უმცირესობების ჯგუფების წარმომადგენლები, განსაკუთრებით - ფერადკანიანი ქალები და LGTB-QIA+ ადამიანები, ყველაზე ხშირად ხდებიან დოქსინგის მსხვერპლნი[44].

არსებობს დოქსინგის სამი ტიპი:[45]

- დეანონიმიზაცია - ვინმეს ვინაობის უნებართვოდ გამჟღავნება;
- თარგეთინგი - ვინმეს პირადი ინფორმაციის მიზანმიმართული გამჟღავნება, რის შედეგადაც, შესაძლებელია მსხვერპლის ადგილმდებარეობის გარკვევა. ქალების უმეტესობისათვის, ამან, შეიძლება, გამოიწვიოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სერიოზული შედეგები;
- დელეგიტიმაცია - პირადი ინფორმაციის გავრცელება იმ მიზნით, რომ შეილახოს

---

[42] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women and Girls (CVAWG), UNODC, 2022, 41; Special Issue on Sexting: Current Research Gaps and Legislative Issues, Ngo, F., Jaishankar, K., Agustina, J.R., International Journal of Cyber Criminology (IJCC), 2017, July to December, Volume 11, Issue 2.

[43] Gender-based interpersonal cybercrime, UNODC, იხილეთ: https://www.unodc.org/e4j/en/cybercrime/module-12/key-issues/gender-based-interpersonal- cybercrime.html

[44] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women and Girls (CVAWG), UNODC, 2022, 42; Doxxing. The International Encyclopedia of Gender, Media, and Communication, Eckert, S and Metzger-Riftkin, J., 2020.

[45] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women and Girls (CVAWG), UNODC, 2022, 42; Douglas, D. 'Doxing: a conceptual analysis', Ethics and Information Technology, vol. 18, (2016), pp. 199–210.

მსხვერპლის სანდოობა ან რეპუტაცია, შეარცხვინოს და დაამციროს იგი.

დოქსინგი ხშირად იწვევს შემდგომ ონლაინ და ფიზიკურ შევიწროებას, როგორიცაა დიდი რაოდენობით შეურაცხმყოფელი შეტყობინებების და მუქარის მიღება ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელებით, ტელეფონით ან ფოსტით.

იმპერსონიზაცია (იმიტაცია)

იმპერსონიზაცია არის სხვისი პიროვნების მოპარვა მუქარის ან დაშინების მიზნით, ასევე, მომხმარებლის რეპუტაციის დისკრედიტაციის მიზნით. მოძალადეებმა შეიძლება, შექმნან ყალბი ონლაინ ანგარიშები და ვებგვერდები, რათა გაავრცელონ ცრუ ინფორმაცია და დააზიანონ მსხვერპლის რეპუტაცია, დაანგრიონ მისი პირადი ან პროფესიული ურთიერთობები. ხშირია, როდესაც ქალების ინფორმაციას სექს-სამუშოს რეკლამად ან გაცნობის აპლიკაციებში ათავსებენ და ზოგჯერ, მათ მიმართ ძალადობისკენაც კი მოუწოდებენ სხვებს[46].

ევროპის საბჭოს კონვენციები

კიბერსივრცეში განხორციელებულ გენდერულ დანაშაულებზე რეაგირებას ხელმომწერ სახელმწიფოებს საერთაშორისო აქტები ავალდებულებს. ამ კონვენციებს შორის მნიშვნელოვანია სტამბოლის, ბუდაპეშტის და ლანსაროტის კონვენციების გამოყოფა. აღნიშნული საერთაშორისო აქტები ხელმომწერ სახელმწიფოებს აკისრებს აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომების მიღების ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს ამ კონვენციებით გათვალისწინებული დანაშაულების ეფექტურ გამოძიებას და მათი სიმძიმის პროპორციული პასუხისმგებლობის დაკისრებას დამნაშავისთვის, თითოეულ ხელმომწერ სახელმწიფოში. ამ მიმართულებით განვითარებულია, ასევე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაც, რომელმაც არაერთხელ დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, ვინაიდან, განსახილველ საქმეებში, სახელმწიფოს არ გააჩნდა კიბერდანაშაულთან ბრძოლის შესაბამისი კანონმდებლობა და ვერ უზრუნველყო დანაშაულის ეფექტური გამოძიება[47].

2001 წელს, ბუდაპეშტში ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული კონვენცია "კიბერდანაშაულის შესახებ" იყო პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელშიც

---

[46] A Training Handbook for Criminal Justice Practitioners on Cyberviolence Against Women and Girls (CVAWG), UNODC, 2022, 42.

[47] Volodina V Russia (Application No 40419/19), K.U V Finland (Application No 2872/02), Buturugă v Romania (Application No 56867/15).

აისახა ინტერნეტის და კომპიუტერული სისტემის გამოყენებით განხორციელებული იმ ქმედებების კრიმინალიზაციის საჭიროება, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩადენისკენ. კერძოდ, კონვენციაში გათვალისწინებული დანაშაულები უკვე იყო რეგულირებული ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ, თუმცა, კომპიუტერულ სისტემასა და ინტერნეტს, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხს, სისხლის სამართლის კოდექსები არ ითვალისწინებდა: "მოცემული კონვენცია აუცილებელია, რათა აღიკვეთოს კომპიუტერული სისტემების, ქსელებისა და კომპიუტერული მონაცემების კონფიდენციალობის, ერთიანობისა და ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, ისევე, როგორც ამგვარ სისტემათა, ქსელთა და მონაცემთა ბოროტად გამოყენება ამ ქმედებათა კრიმინალიზაციით, ამ კონვენციის შესაბამისად; აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებისთვის ასეთ დანაშაულებთან ბრძოლისთვის საჭირო იმ საკმარისი ძალაუფლების მინიჭებით, რომელიც გააადვილებს მათ გამოვლენას, გამოძიებასა და სასამართლო წესით დევნას როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე - საერთაშორისო დონეზე"[48].

კონვენციის ტექსტი ყურადღებას ამახვილებს კომპიუტერული სისტემის მეშვეობით ჩადენილ თაღლითობაზე, კიბერუსაფრთხოებაზე, საავტორო უფლებების დაცვაზე, პერსონალური მონაცემების დაცვაზე და, ამასთან, შეიცავს ზოგად დებულებებს ინტერნეტის მეშვეობით ჩადენილ დანაშაულებზე, რომელთა მოქმედების სფეროც ფართოა და შესაძლებელია, განიმარტოს, როგორც კიბერძალადობის მარეგულირებული ნორმები. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონვენციის მე-4 ("მონაცემთა ხელყოფა") და მე-5 მუხლები ("სისტემაში ჩარევა")[49].

2007 წელს ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული "სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ" კონვენციის რატიფიცირება საქართველოში 2014 წელს მოხდა. აღნიშნული კონვენციის 23-ე მუხლი პირდაპირ ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს ე. წ. *"grooming"*-ის კრიმინალიზებას, რაც გულისხმობს ზრდასრულის მიერ საინფორმაციო და ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებულ განზრახ შეთავაზებას, ბავშვთან სქესობრივი ან პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის მიზნით, თუ ამ შეთავაზებას თან ახლდა მატერიალური დაპირებები, რასაც შედეგად მოჰყვა შეხვედრა[50].

2011 წელს, ევროპის საბჭოს მიერ შემუშავდა კონვენცია "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ", რომელსაც

---

[48] კონვენციის პრეამბულა.

[49] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 22

[50] ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2684715?publication=0

საქართველო 2017 წელს შეუერთდა. კონვენცია არ შეიცავს სპეციალურ დათქმას კიბერძალადობასთან დაკავშირებით, თუმცა, 2021 წელს, GREVIO-მ #1-ლი ზოგადი რეკომენდაციით განმარტა, რომ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან ბრძოლა საჭიროა როგორც ფიზიკურ, ასევე - ვირტუალურ სივრცეში და ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ებრძოლონ ქალთა მიმართ ძალადობას, მათ შორის, კიბერდანაშაულების აღკვეთის გზით. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონვენციის 33-ე (ფსიქოლოგიური ძალადობა), 34-ე (ადევნება) და მე-40 (სექსუალური ძალადობა) მუხლები[51]. GREVIO-ს სტანდარტები დამატებით ცალკე ქვეთავშია მიმოხილული.

სტამბოლის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ, დასაჯონ და უზრუნველყონ ამ კონვენციით გათვალისწინებული ძალადობის ფორმები, რომლებიც ჩადენილია არასახელმწიფო აქტორების მიერ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტებით, პოლიტიკის დოკუმენტებითა და იურისპრუდენციით მიღებული ეს კარგად ჩამოყალიბებული კონცეფცია არის ზომების და არა შედეგების მიღების ვალდებულება. იგი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, შექმნან აუცილებელი სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციასა და მათ ეფექტურ გამოძიებას, მოძალადეებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით და მსხვერპლთა მიერ კომპენსაციის მიღებისთვის. ეს არის სტამბოლის კონვენციის დებულება, რომელიც ცენტრალურია ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის დაუსჯელობის დასასრულებლად და ასეთი ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. GREVIO მიიჩნევს, რომ ეს ვალდებულება მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას, მათ შორის - ციფრულ გამოხატულებას და ძალადობას, რომელიც ჩადენილია ტექნოლოგიების დახმარებით ან მეშვეობით[52]. სტამბოლის კონვენციის ერთ-ერთი საფუძველია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმაზე ჰოლისტური პასუხის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მასშტაბით, ეფექტური, ყოვლისმომცველი და კოორდინირებული პოლიტიკის შეთავაზებით, რომელიც მოიცავს უამრავ საშუალებას (მუხლი 7).

---

[51] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 22

[52] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 17. პარა. 34.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რიგი მუხლები რელევანტურია ქალთა მიმართ კიბერძალადობის შემთხვევებში. კერძოდ: მუხლი 3 - წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა; მუხლი 8 - პირადი ცხოვრების უფლება; მუხლი 10 - გამოხატვის თავისუფლება; მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა. აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებულ მუხლებზე მითითებით, საჩივრები უკვე შედის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშიც. შესაბამისი გადაწყვეტილებები მიმოხილულია ცალკე ქვეთავში.

ბუდაპეშტის კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ და დამატებითი პროტოკოლი, მიღებული 2001 წელს, იყო პირველი ხელშეკრულება, რომელიც ფოკუსირებული იყო ინტერნეტთან დაკავშირებულ დანაშაულებზე, განსაკუთრებით - კომპიუტერთან დაკავშირებულ თაღლითობაზე, საავტორო უფლებების დარღვევაზე, ბავშვთა პორნოგრაფიასა და ქსელის უსაფრთხოების დარღვევაზე. ბუდაპეშტის კონვენციის მთავარი მიზანია საზოგადოების დაცვა კიბერდანაშაულისგან, სისხლის სამართლის ერთიანი პოლიტიკის უზრუნველყოფით, შესაბამისი კანონმდებლობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. კონვენციის ზოგიერთი მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნას გენდერული კიბერძალადობის შემთხვევებზე - მე-4 და მე-5 მუხლებზე. იგი ეხება მონაცემებსა და სისტემაში ისეთი სახით ჩარევას, რამაც შეიძლება, გამოიწვიოს სიკვდილი ან ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დაზიანება[53]. ბუდაპეშტის კონვენციის სამი მუხლი არის რელევანტური კიბერძალადობასთან დაკავშირებით, კერძოდ:[54]

მუხლი 4 – მონაცემთა ხელყოფა. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს კომპიუტერულ მონაცემთა უნებართვო დაზიანების, წაშლის, გაუარესების, შეცვლის ან გადამალვის კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარ განზრახვითაა ჩადენილი.

[53] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 98.

[54] კონვენცია კომპიუტერული დანაშაულის შესახებ, 2001, ბუდაპეშტი. იხილეთ: https://rm.coe.int/16802fa423

მუხლი 5 – სისტემაში ჩარევა. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს კომპიუტერულ მონაცემთა ჩადების, გადაცემის, დაზიანების, წაშლის, გაუარესების, შეცვლის ან გადამალვის გზით, ნებართვის გარეშე კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების არსებითი შეფერხების კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარ განზრახვითაა ჩადენილი.

მუხლი 9 – ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს წინასწარი განზრახვითა და მართლსაწინააღმდეგოდ ჩადენილ შემდეგ ქმედებათა კრიმინალიზაციას: ა. ბავშვთა პორნოგრაფიის შექმნა კომპიუტერული სისტემის საშუალებით მისი გავრცელების მიზნით; ბ. ბავშვთა პორნოგრაფიის შეთავაზება ან ხელმისაწვდომობა კომპიუტერული სისტემის საშუალებით; ც. ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელება ან გადაცემა კომპიუტერული სისტემის საშუალებით; დ. ბავშვთა პორნოგრაფიის მიღება თავისთვის ან სხვისთვის კომპიუტერული სისტემის საშუალებით; ე. ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შემნახავი საშუალებით.

სხვა არსებითი მუხლებით კრიმინალიზებულია ქმედებები, რომელიც შეიძლება, იყოს ჩართული კიბერძალადობაში, მაგრამ კავშირი ნაკლებად პირდაპირია. ასეთ ქმედებებს შეუძლია, ხელი შეუწყოს ძალადობას და შეიძლება სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ იგი არ ახდენს თვით ძალადობის კრიმინალიზაციას.

ლანზაროტის კონვენციაში სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვების დაცვის შესახებ, ბავშვების მიმართ ძალადობის ყველა ფორმა კრიმინალიზებულია, მათ შორის - კიბერძალადობის ის ფორმებიც, რომელიც ეხება ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციას და სექსუალურ ძალადობას - ბავშვთა პროსტიტუციასთან დაკავშირებული დანაშაულებს, ბავშვთა პორნოგრაფიას, ბავშვების გარყვნას, ბავშვის დაყოლიებას სექსუალური მიზნებისთვის. კიბერძალადობის აღნიშნული კრიმინალიზებული ქმედებები მოცემულია მე-18-დან 23-ე მუხლებში[55].

---

[55] ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია, 2007, ლანზაროტი. იხილეთ: https://rm.coe.int/168046e1cf

GREVIO-ს სტანდარტები

ონლაინ სექსუალური შევიწროება

სტამბოლის კონვენციის 40-ე მუხლის თანახმად, სექსუალური შევიწროება წარმოადგენს „სექსუალური ხასიათის ნებისმიერ ფორმას, არასასურველ სიტყვიერ, არავერბალურ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს პირის ღირსების შელახვას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იწვევს დაშინებას, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს“[56].

ამ ქვეთავში დეტალურად მიმოვიხილავთ GREVIO-ს პირველ ზოგად რეკომენდაციას, რომელიც ეძღვნება ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებას და გამოყოფს შემდეგ ქცევებს ონლაინ ან ციფრული საშუალებებით:
(1) სურათების ან ვიდეოს არაკონსენსუალური გაზიარება; **(2)** ინტიმური სურათების ან ვიდეოს არაკონსენსუალური გადაღება, წარმოება ან მოპოვება; **(3)** ექსპლუატაცია, იძულება და მუქარა **(4)** სექსუალური ბულინგი და **(5)** კიბერფლეშინგი[57].

- **პირის შიშველი ან სექსუალური ფოტოსურათების ან ვიდეოს არაკონსენსუალური გაზიარება** ან ამის მუქარა არის გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა (ასევე ცნობილია, როგორც „შურისძიების პორნოგრაფია“)[58].

- **ინტიმური სურათების ან ვიდეოების არაკონსენსუალურ გადაღებას, წარმოებას ან მოპოვება** მოიცავს „კაბის აწევას“ („აფსქირთინგს“) და საჯარო სივრცეში სხვა ტიპის ფოტოსურათების გადაღებას, ასევე ციფრულად შეცვლილი გამოსახულების წარმოებას, რომელზე გამოსახული პირის სახე ან სხეული პორნოგრაფიული ხასიათის ფოტო ან ვიდეოა. ეს ხერხი ცნობილია, როგორც **„ყალბი პორნოგრაფია“** („დიფფეიკი“, - ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით სინთეზური სურათების შექმნა)[59].

- **ექსპლუატაცია, იძულება და მუქარა** - შედის კონვენციის მე-40 მუხლის სფეროში

---

[56] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 18. პარა. 37.

[57] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 18. პარა. 38.

[58] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 18. პარა. 38(ა).

[59] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 18. პარა. 38(ბ).

და მოიცავს ძალადობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა იძულებითი სექსთინგი, სექსუალური გამოძალვა, გაუპატიურების მუქარა, სექსუალური/გენდერული დოქსინგი, იმპერსონიზაცია და ადამიანის გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის უნებართვოდ გამჟღავნება („აუთინგი“)[60].

- **სექსუალური ბულინგი** მოიცავს ისეთ ქცევებს, როგორიცაა ქორების გავრცელება მსხვერპლის სავარაუდო სექსუალურ ქცევაზე, სექსუალური კომენტარების გამოქვეყნება მსხვერპლის პოსტების ან ფოტოების ქვეშ, მსხვერპლის პერსონად თავის გასაღება (იმპერსონიზაცია), მისთვის სექსუალური შინაარსის მასალის გაზიარება ან მისი სექსუალური შევიწროება, რაც გავლენას ახდენს პირის რეპუტაციაზე ან მის საარსებო წყაროზე, ასევე, პირის „აუთინგი“ მისი თანხმობის გარეშე, დაშინების, მუქარისა და სხეულის დამცირების (body shaming) მიზნით.

- **კიბერფლეშინგი** გულისხმობს არასასურველი სექსუალური სურათების გაგზავნას, გაცნობის ან შეტყობინებების აპლიკაციების, ტექსტების ან სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით (მაგალითად ეარდროფით, ბლუთუსით).

ზოგიერთი ზემოაღნიშნული ქცევა საყოველთაოდ ცნობილია, როგორც **სექსისტური სიძულვილის ენა**. როგორც აღიარებულია ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში სექსიზმის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ, ეს ქმედებები ხშირად დამამცირებელია და ხელს უწყობს სოციალურ კლიმატს, სადაც ქალები არიან დამცირებულნი, ილახება მათი თავმოყვარეობა, მათი საქმიანობა და არჩევანი შეზღუდულია, მათ შორის სამსახურში, პირად ცხოვრებაში, საჯარო თუ ონლაინ სფეროში. სექსისტური ქცევა - სექსისტური სიძულვილის ენა, ხშირად პირველი ნაბიჯია ფიზიკური ძალადობისკენ. იგი შეიძლება, გადაიზარდოს ან წაახალისოს ღიად შეურაცხმყოფელი ქმედებები და მუქარა, მათ შორის სექსუალური ძალადობა, ძალადობა ან გაუპატიურება, რაც შედის სტამბოლის კონვენციის 40-ე მუხლით დაცულ სფეროში[61].

ონლაინ და ტექნოლოგიის საშუალებით ადევნება

სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლი ადევნებას განსაზღვრავს, როგორც „მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატულ წინასწარგანზრახულ ქცევას, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს“. განმარტებითი ანგარიში უფრო ფართოდ ხსნის ამ დეფინიციას და აზუსტებს, რომ ადევნება, რომელიც ჩადენილია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ხვდება 34-ე მუხლით დაცულ სფეროში:

მუქარის შემცველი ქცევა შეიძლება, მოიცავდეს სხვა პირის განმეორებით ადევნებას, სხვა ადამიანთან არასასურველ კომუნიკაციას ან სხვა პირისთვის იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომ მას აკვირდებიან. ეს მოიცავს მსხვერპლის ფიზიკურად ადევნებას მის

[60] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 18. პარა. 38(გ).

[61] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 18. პარა. 39.

სამუშაო ადგილზე, სპორტულ ან საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიკითხვას, ასევე ვირტუალურ სამყაროში მსხვერპლის თვალყურის დევნებას (ჩატის ოთახები, სოციალური ქსელები და ა. შ.). არასასურველ კომუნიკაციაში ჩართვა გულისხმობს მსხვერპლთან აქტიურ კონტაქტს, კომუნიკაციის ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებით, მათ შორის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებითა და ICT მოწყობილობებით[62].

ადევნების პრაქტიკა ციფრულ სფეროში მოიცავს მუქარას (სექსუალური, ეკონომიკური, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ხასიათის), რეპუტაციის დაზიანებას, მსხვერპლზე პირადი ინფორმაციის მონიტორინგსა და შეგროვებას, პიროვნების მითვისებას, სექსის მოთხოვნას, მსხვერპლის იმპერსონიზაციას და შევიწროებას, თანამზრახველებთან ერთად დაზარალებულის იზოლირებას ან ჯაშუშობის სხვა ტაქტიკას სხვადასხვა სოციალურ მედიასა თუ მესენჯერ პლატფორმებზე, მის ელფოსტასა და ტელეფონზე პაროლების მოპარვას ან მისი მოწყობილობების გატეხვას მის პირად სივრცეში შესაღწევად, ჯაშუშური პროგრამების ან ციფრული რუკის გზით. მოძალადეებს ასევე შეუძლიათ, მოიპარონ სხვა პირის ვინაობა ან აკონტროლონ მსხვერპლი ტექნოლოგიური მოწყობილობების საშუალებით, რომელიც დაკავშირებულია, მაგალითად, ჭკვიანი საყოფაცხოვრებო ტექნიკის ინტერნეტქსელით.

ფსიქოლოგიური ძალადობა ციფრულ სივრცეში

33-ე მუხლში, სტამბოლის კონვენცია აღწერს ფსიქოლოგიურ ძალადობას, როგორც „წინასწარგანზრახულ ქცევას, რომელიც ადამიანზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს იძულების ან მუქარის გამოყენებით“. კონვენციის ახსნა-განმარტებით ანგარიშში დაკონკრეტებულია: დანაშაულის მასშტაბი შემოიფარგლება პირის ფსიქოლოგიური მთლიანობის დამაზიანებელი სხვადასხვა საშუალებებითა და მეთოდებით განხორციელებული განზრახი ქმედებით. კონვენცია არ განსაზღვრავს, რა იგულისხმება სერიოზულ დაზიანებაში. ეს დებულება ეხება ქცევათა განმეორებადობას და არა - ერთ მოვლენას. მუხლი მიზნად ისახავს განმეორებითი შეურაცხმყოფელი ქცევის კრიმინალიზაციას[63].

ქალებზე ციფრულ სფეროში განხორციელებული ძალადობის ყველა ფორმას აქვს ფსიქოლოგიური გავლენა და შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც ონლაინ

---

[62] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 19. პარა. 40.

[63] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 19-20. პარა. 42.

და ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობა. ქალთა მიმართ ასეთი ძალადობის სპეციფიკური თავისებურებები ზრდის ძალადობის გავლენას მსხვერპლებზე. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის კონტექსტში განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები რადიკალურ ფორმებს იღებს ახალ ტექნოლოგიებთან ერთად. მაგალითად, ციფრული დომენის დახმარებით ამან შეიძლება მიიღოს ახალი განზომილება, როდესაც ამჟამინდელი ან ყოფილი პარტნიორები ფლობენ მსხვერპლის ინტიმურ სურათებს. მოძალადეებს ასევე შეუძლიათ, ბოროტად გამოიყენონ ტექნოლოგია, რათა თვალყური ადევნონ თავიანთ მსხვერპლთა ადგილსამყოფელს. ძალადობის ასეთი ფორმები დამანგრეველ ფსიქიკურ და ფიზიკურ ზიანს აყენებს ქალებსა და გოგონებს[64].

ფსიქოლოგიურ ძალადობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკური ძალადობაც, რომელიც განისაზღვრება, როგორც ქალის შეზღუდვა, შეიძინოს, გამოიყენოს და შეინარჩუნოს ეკონომიკური რესურსები. ეკონომიკური ძალადობა, როგორც წესი, ხდება ინტიმური პარტნიორის ძალადობის კონტექსტში და მას აქვს ნეგატიური ზემოქმედება მსხვერპლთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ციფრულ ფორუმებში ეკონომიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს, როგორც მსხვერპლის საბანკო ანგარიშებისა და ფინანსური საქმიანობის კონტროლი ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით, დაზარალებულის საკრედიტო რეიტინგის დაზიანება ნებართვის გარეშე საკრედიტო ბარათების გამოყენებით ან ხელშეკრულების (იჯარა, სესხი, კომუნალური მომსახურება და ა. შ.) დადება დაზარალებულის სახელით და გადასახადის დროულად ან საერთოდ ვერ გადახდა (კერძოდ, ალიმენტის გადახდა)[65].

კიბერძალადობასთან საბრძოლველად, GREVIO მოუწოდებს, აღიარებულ იქნას ონლაინ და ტექნოლოგიების საშუალებით განხორციელებული ძალადობის გენდერული ბუნება, რომელიც მოითხოვს რეაგირებას. GREVIO რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ ქვემოთ ჩამოთვლილი ზომები პრევენციის, დაცვის, დევნისა და კოორდინირებული პოლიტიკის სფეროებში:[66]

- **პრევენციისთვის** მნიშვნელოვანია კანონმდებლობის გადახედვა და ახალი კანონმდებლობის მიღება; სექსიზმის პრევენციისა და მასთან ბრძოლის

---

[64] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 20. პარა. 43.

[65] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 21. პარა. 48.

[66] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women, 20 October 2021, 23. პარა. 49-57.

შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2019)1 გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს ინიციატივები, რაც გულისხმობს გენდერულ სტერეოტიპებთან, დისკრიმინაციასთან და სექსისტურ დამოკიდებულებებთან ბრძოლას.

- **დაცვისთვის** მნიშვნელოვანია, ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო გავრცელდეს ციფრულ სფეროში ჩადენილი ძალადობის ყველა ფორმაზე.

- **დევნისთვის** მნიშვნელოვანია, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების ეფექტურად გამოსაძიებლად, სახელმწიფომ აღჭურვოს სამართალდამცავები საჭირო (ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური) რესურსებით, მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად. ეს შეიძლება, მოიცავდეს სპეციალიზებული ქვედანაყოფების/ ექსპერტიზის შექმნას და ასეთი ქვედანაყოფების/ ექსპერტების კოორდინაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობას არსებულ კიბერდანაშაულთან ბრძოლის დანაყოფებთან/ ექსპერტებთან; სპეციალისტებს უნდა ასწავლონ, როგორ მოიპოვონ ელექტრონული მტკიცებულებები მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ტრავმატიზაციის გარეშე. ასევე, უნდა გაიზარდოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტორების საერთაშორისო თანამშრომლობა და ურთიერთსამართლებრივი დახმარების შესაძლებლობები ქალების მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებასთან დაკავშირებულ საკითხებში, რათა უზრუნველყონ გამარტივებული ხელმისაწვდომობა სერვისის პროვაიდერების მტკიცებულებებზე.

- **კოორდინირებული პოლიტიკა** გულისხმობს ზემოაღნიშნული საკითხების ინტეგრირებას სახელმწიფო ეროვნულ სტრატეგიებში, პროგრამებსა და სამოქმედო გეგმებში, როგორც ამას მოითხოვს სტამბოლის კონვენციის მე-7 მუხლი.

ECtHR გადაწყვეტილებები

აღნიშნულ ქვეთავში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება კიბერძალადობის სხვადასხვა ფორმებს.

კ. უ. ფინეთის წინააღმდეგ[67]

განმცხადებლის სახელით, რომელიც იმ დროს 12 წლის იყო, 1999 წლის 15 მარტს, მისი თანხმობის გარეშე, დაუდგენელმა პირმა ან პირებმა, განათავსეს რეკლამა ინტერნეტ გაცნობის საიტზე. რეკლამაში მითითებული იყო მისი ასაკი და დაბადების წელი, დეტალურად იყო აღწერილი მისი ფიზიკური მახასიათებლები, მიბმული იყო განმცხადებლის ვებგვერდის ბმული, სადაც იდო მისი ფოტოსურათები და ტელეფონის ნომერი. რეკლამაში ნათქვამი იყო, რომ მას სურს ინტიმური ურთიერთობა თავისი ასაკის ან უფროს ბიჭთან. განმცხადებელმა მაშინ შეიტყო ინტერნეტში განთავსებული რეკლამის შესახებ, როდესაც ელექტრონული წერილი მიიღო მამაკაცისგან, შეხვედრის შეთავაზებით.

ბრალი წაყენების მიზნით, განმცხადებლის მამამ პოლიციას სთხოვა, დაედგინა პირი, რომელმაც განათავსა რეკლამა მისი შვილის წინააღმდეგ, თუმცა, სერვისის პროვაიდერმა უარი თქვა ვინაობის გამხელაზე, რადგან მას კანონის შესაბამისად უნდა დაეცვა კონფიდენციალობა. მოგვიანებით, პოლიციამ სთხოვა ჰელსინკის რაიონულ სასამართლოს (käräjäoikeus, tingsrätten), დაევალდებულებინა სერვისის მიმწოდებელი, გაემჟღავნებინა აღნიშნული ინფორმაცია, სისხლის სამართლის გამოძიების შესაბამისად, თუმცა, სამივე ინსტანციამ უარი თქვა აღნიშნულზე, რადგან ეს იქნებოდა სატელეკომუნიკაციო აქტის კონფიდენციალობისა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის შესახებ კანონის დარღვევა. მიუხედავად ამ რეგულაციისა, პოლიციას ჰქონდა უფლება, ამოეღო სატელეკომუნიკაციო საიდენტიფიკაციო მონაცემები გარკვეულ დანაშაულებთან დაკავშირებით, თუმცა კანონი მოცემულ დანაშაულს არ მოიცავდა[68]. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ მე-8 მუხლის მიზანი არსებითად არის პიროვნების დაცვა საჯარო ხელისუფლების მიერ თვითნებური ჩარევისგან, ის მოიცავს არამხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებებსაც, რომელსაც თან ახლავს პირადი ან ოჯახური ცხოვრების ეფექტური დაცვა (იხ. აირეი ირლანდიის წინააღმდეგ, 1979 წლის 9 ოქტომბერი, § 32, სერია A No. 32)[69].

---

[67] K.U. v. Finland, Application no. 2872/02, 02/03/2009.

[68] Ibid, §§6-14.

[69] Ibid, §42.

სასამართლოს განმარტებით, უდავოა, რომ მოცემულ შემთხვევაზე ვრცელდება კონვენციის მე-8 მუხლი. ფაქტები, რომელიც საფუძვლად უდევს განცხადებას, ეხება „პირადი ცხოვრების“ საკითხს, კონცეფციას, რომელიც მოიცავს პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას (იხ. X and Y v. ნიდერლანდების წინააღმდეგ, ზემოთ ციტირებული, § 22). მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე შიდა კანონმდებლობის ჭრილში არის ადამიანის „მისრეპრეზენტაცია“, სასამართლოს ურჩევნია, ხაზი გაუსვას პირადი ცხოვრების ცნების ამ კონკრეტულ ასპექტებს, განმცხდებლის ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას, რასაც საფრთხე ემუქრება არსებული სიტუაციით, რაც კიდევ უფრო საშიშია მისი დაუცველობის, მცირე ასაკის გათვალისწინებით.

სასამართლოს მოცემულ საქმეში სპეციფიკურად არ განუმარტავს კიბერძალადობა, თუმცა, აღნიშნა, რომ ამ სისხლისსამართლებრივი დანაშაულით, მოპასუხე პედოფილების სამიზნე გახდა[70], ხოლო შემდეგ აღნიშნა, რომ სექსუალური ძალადობა მძიმე დანაშაულია, განსაკუთრებით კი - ბავშვების წინააღმდეგ[71]. შესაბამისად, სასამართლომ არაპირდაპირ დაადასტურა, რომ კიბერძალადობის მოცემული სახე არის სექსუალური ძალადობის ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ პირთა ქმედებებისგან დაცვის სფეროში მე-8 მუხლის დაცვის საშუალების არჩევა სახელმწიფოს მიხედულების ზღვრის ფარგლებშია, როდესაც საფრთხის წინაშე დგას პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტები, აუცილებელია ეფექტური სისხლის სამართლის დებულებების არსებობა (იხ. X and Y v. Netherlands, ციტირებული ზემოთ, §§ 23-24 და 27; August v. the United Kingdom (dec.), No. 36505/02, 2003 წლის 21 იანვარი; და M.C. ბულგარეთის წინააღმდეგ, No 39272/98, § 150, ECHR 2003-XII)[72].

იმის მიუხედავად, რომ სისხლის სამართლის დებულება მოცემულ შემთხვევაში არსებობდა, სასამრთლოს თქმით, ეს არ იყო საკმარისი, რადგან თუ არ არსებობს რეალური დამნაშავის იდენტიფიცირებისა და მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის საშუალება, კანონს აქვს ლიმიტირებული ეფექტი. სასამართლოსთვის, სახელმწიფოებს აქვთ კონვენციის მე-8 მუხლის თანდაყოლილი პოზიტიური ვალდებულება, მოახდინონ პირის წინააღმდეგ დანაშაულების, მათ შორის დანაშაულის მცდელობის კრიმინალიზაცია, და ეფექტურად გამოიყენონ ის პრაქტიკაში, ეფექტური გამოძიების და დევნის მეშვეობით (იხ. , M.C v. Bulgaria, No 39272/98, ECHR 2003-XII §153)[73].

---

[70] Ibid, §41.

[71] Ibid, §§45; 48.

[72] Ibid, §43.

[73] Ibid, §46.

ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ[74]

2014 წლის ნოემბერში, მომჩივანმა დაიწყო ურთიერთობა აზერბაიჯანის მოქალაქე ბ-ნ ს.-სთან. 2015 წელს დაშორების შემდეგ, ს. მას სიკვდილით და სხეულის დაზიანებით დაემუქრა, რამდენჯერმე გაიტაცა და გაუსწორდა კიდეც მას. 2016 წლის ივნისში, მომჩივანმა ძმისგან გაიგო, რომ მისი ანგარიში რუსულ სოციალურ მედია პლატფორმაზე, VKontakte, გატეხილი იყო. მისი გამოგონილი სახელი შეიცვალა ნამდვილი სახელით, ანგარიშზე ატვირთული იყო მისი პირადი მონაცემები, პასპორტის ფოტო და ინტიმური ფოტოები. მეგობრებში დამატებული ჰყავდა თავისი თორმეტი წლის ვაჟის კლასელები და მასწავლებლები. განმცხადებელმა სცადა თავის ანგარიშში შესვლა და აღმოაჩინა, რომ პაროლი შეცვლილი იყო. პოლიციამ აიღო ჩვენება მოსარჩელის ძმისგან, რომლის მიხედვითაც, ის ესაუბრა ს.-ს და მან აღიარა, რომ გატეხა მოსარჩელის ფოსტის ანგარიში და მის კონტაქტებს უცენზურო შეტყობინებები გაუგზავნა[75].

ონლაინ, ანუ კიბერძალადობა, მჭიდრო კავშირშია ოფლაინ, ანუ „რეალურ ცხოვრებაში“ ძალადობასთან და განიხილება, როგორც ოჯახში ძალადობის რთული ფენომენის კიდევ ერთი სახე (Buturugă, §§ 74 და 78). სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება, დაამყარონ და ეფექტურად გამოიყენონ სისტემა, რომელიც დასჯის ოჯახში ყველა სახის ძალადობას და უზრუნველყონ საკმარისი გარანტიები მსხვერპლთათვის (იხ. Opuz v. Turkey, No. 33401/02, § 145, ECHR 2009, და Bălşan v. რუმინეთი, No 49645/09, § 57, 2017 წლის 23 მაისი). პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ოჯახში ძალადობის ყველა ფორმაზე, იქნება ეს რეალური ცხოვრება თუ ონლაინ სივრცე. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს პოზიტიური ვალდებულება - ზოგიერთ შემთხვევაში მე-2 ან მე-3 მუხლებით და სხვა შემთხვევებში მე-8 მუხლით, ცალკე ან კონვენციის მე-3 მუხლთან ერთად, მოიცავს კერძოდ: **(ა)** ვალდებულებას, დაადგინოს და გამოიყენოს ადეკვატური სამართლებრივი ჩარჩოს გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს კერძო პირების ძალადობისგან დაცვას; **(ბ)** გონივრული ზომების მიღების ვალდებულება, რათა თავიდან იქნას აცილებული განმეორებითი ძალადობის რეალური და დაუყოვნებელი რისკი, რომლის შესახებაც ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, და **(გ)** ძალადობის აქტების ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულება (Buturugă, §§ 60-62). სასამართლო იმეორებს, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები მე-8 მუხლით, დაიცვას ინდივიდის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მთლიანობა, შეიძლება გავრცელდეს სისხლის სამართლის გამოძიების ეფექტურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

---

[74] Volodina v. Russia, Application No. 40419/19, 14/12/2021.

[75] Ibid, §§5-6.

სასამართლომ დაადგინა ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულების დარღვევა იმ შემთხვევებში, როდესაც სამართალწარმოება გაგრძელდა უსაფუძვლოდ ან დამნაშავეებს მიეცათ პასუხისმგებლობისგან გაქცევის საშუალება (P.M. v. Bulgaria, No. 49669. /07, §§ 64-66). ეფექტურობის პრინციპი ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოს დაუსჯელი მიყენებული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვა[76].

ჰოინესი ნორვეგიის წინააღმდეგ[77]

განმცხადებელი იყო ცნობილი იურისტი, რომელიც ძირითადად სისხლისსამართლებრივ და ბავშვთა მეურვეობასთან დაკავშირებულ საქმეებზე მუშაობდა. საქმე ეხებოდა შიდა სასამართლოების უარს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებაზე ინტერნეტ ფორუმის წამყვანისთვის მას შემდეგ, რაც ფორუმზე გამოქვეყნდა ვულგარული კომენტარები ქ-ნი ჰოინესის მიმართ. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ პირად ცხოვრებაში მე-8 მუხლის დარღვევა არ ყოფილა, აპლიკანტს არ მიდგომია სერიოზული ზიანი, რადგან საიტს ჰყავდა მოდერატორები, რომლებიც მსგავს კომენტარებს შლიდნენ. ამ საქმეში არც სახელმწიფოს ვალდებულებებზე იყო ნათქვამი რამე სპეციფიკური, არც ძალადობა იყო და არც - გამოძიება, კრიმინალიზაციაზე იყო აქცენტები.

ბუტურუგა რუმინეთის წინააღმდეგ[78]

განმცხადებელი, ქ-ნი ბუტურუგა იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. პარტნიორი მასზე ფიზიკურად ძალადობდა და მოკვლით ემუქრებოდა. გარდა ამისა, მოსარჩელის თქმით, მისმა პარტნიორმა მისი სოციალური ქსელებიდან, თანხმობის გარეშე, აიღო მისი პირადი მიმოწერები და ფოტოსურათები. ამის დასამტკიცებლად, იგი გამოძიების ჩატარებას მოითხოვდა. პოლიციამ უარი უთხრა, რადგან, მისი აზრით, ეს ქმედება არ უკავშირდებოდა ოჯახში ძალადობას. ამასთან, პროკურორმა შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა, ძალადობისა და მკვლელობის მუქარების მიუხედავად, რადგან, მისი თქმით, ქმედებები არ იყო საკმარისად სერიოზული[79]. სასამართლომ დაადგინა მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა, ოჯახში ძალადობის საჩივრების ადეკვატური გამოძიების და შესაბამისი ზომების გამოუყენებლობის გამო.

სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვისას,

---

[76] Ibid, §67.

[77] Høiness v. Norway, Application no. 43624/14, 19/06/2019.

[78] Buturaga v. Romania, Application no. 56867/15, 11/06/2020.

[79] Ibid, §§7-21.

განსაკუთრებული გულმოდგინებაა საჭირო და მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობის სპეციფიკური ბუნება, როგორც სტამბოლის კონვენციის პრეამბულაშია აღიარებული, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შიდა სამართალწარმოების კონტექსტში (იხ. M.G v. Turkey, § 93)[80]. როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ოჯახში ძალადობის ფენომენი მხოლოდ ფიზიკური ძალადობის ფაქტით კი არ განიხილება, არამედ ითვლება, რომ მოიცავს, სხვა ასპექტებს შორის, ფსიქოლოგიურ ძალადობასა და თვალთვალის ფაქტორებსაც (C.M v. the Republic of Moldova, no. 26608/11, § 47, 28 January 2014)[81]. გარდა ამისა, კიბერბულინგი ამჟამად აღიარებულია, როგორც ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ფორმა და შეიძლება, ჰქონდეს სხვადასხვა სახე, მათ შორის კიბერკონფიდენციალობის დარღვევა, მსხვერპლის კომპიუტერში შეჭრა და მონაცემებისა და სურათების, მათ შორის, პირადი მონაცემების აღება, გაზიარება და მანიპულირება. ოჯახური ძალადობის კონტექსტში კიბერთვალთვალი ხშირად მომდინარეობს პირის ინტიმური პარტნიორისგან[82]. სახელმწიფო დავობდა, რომ არ დგინდებოდა მოსარჩელის პარტნიორის მხრიდან ძალადობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ გამომძიებლები არ ეცადნენ, დაედგინათ, თუ ვინ მიაყენა მსხვერპლს დაზიანებები. მათ დაკითხეს მხოლოდ მსხვერპლის სამი ნათესავი, როცა შეეძლოთ, მიეღოთ დამატებითი ზომებიც, მაგალითად, დაეკითხათ მეზობლები და სხვ.[83].

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების, Buturga v. Romania-ს, შემდეგ, რუმინეთმა კანონმდებლობაში ცვლილება შეიტანა. 2020 წლის ივლისში, ოჯახში ძალადობის შესახებ კანონში შეტანილი ბოლო ცვლილება მოიცავდა კიბერძალადობასაც, როგორც ოჯახში ძალადობის ფორმას. მუხლი 4, პუნქტი 1ჰ, განსაზღვრავს კიბერძალადობას, როგორც: „ონლაინ შევიწროება, ონლაინ შეტყობინებები, რომელიც აღძრავს სიძულვილს გენდერული ნიშნით, ონლაინ ადევნება, ონლაინ მუქარა, ინფორმაციისა და ინტიმური გრაფიკული შინაარსის არაკონსენსუალური მასალის გამოქვეყნება, კომუნიკაციებსა და პირად მონაცემებზე უკანონო წვდომა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ნებისმიერი სხვა ფორმის ბოროტად გამოყენება კომპიუტერების, სმარტფონების ან სხვა მსგავსი მოწყობილობების საშუალებით, რომელიც იყენებს ტელეკომუნიკაციებს ან შეუძლია ინტერნეტთან დაკავშირება და შეუძლია, გადასცეს და გამოიყენოს სოციალური პლატფორმები ან ელექტრონული ფოსტის პლატფორმები, მსხვერპლის შერცხვენის, დამცირების, შეშინების, მუქარის ან გაჩუმების მიზნით“[84].

სქესობრივი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ეროვნული

---

[80] Ibid, §67.

[81] Ibid, §74.

[82] Ibid.

[83] Ibid, §68.

[84] GREVIO Baseline Evaluation Report, Romania, 2022, პარა. 7.

სტრატეგია, „SINERGY“ 2020-2030, მიზნად ისახავს სქესობრივი ძალადობის შემთხვევების შემცირებას და პრევენციას. სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები მოიცავს, inter alia, ყველა შესაბამისი პროფესიონალის ტრეინინგს სექსუალური ძალადობის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში; ჟურნალისტების, ბლოგერებისა და ვლოგერების ცნობიერების ამაღლების აქტივობებს; მოქმედი საკანონმდებლო საფუძვლების ანალიზს ონლაინ გარემოში უსაფრთხოების გასაძლიერებლად და პორნოგრაფიასთან, „შურისძიების პორნოგრაფიასთან“ და შევიწროება/შანტაჟის წინააღმდეგ სექსუალური ხასიათის მასალის გავრცელებასთან საბრძოლველად; სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას; მონაცემთა შეგროვებას სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე (მათ შორის სექსუალური შევიწროება ქუჩაში და ონლაინ დანაშაულები) და სპეციალიზებული დანაყოფების შექმნას პროკურატურებსა და სამართალდამცავ ორგანოებში. გარდა ამისა, დაინერგება სასამართლო-სამედიცინო მომსახურება გაუპატიურებისა და სქესობრივი ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის[85].

ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობები

კიბერძალადობის ფორმები, როგორც წესი, ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში სხვადასხვა დანაშაულებზეა გადანაწილებული. ზოგიერთ შემთხვევაში, დანაშაულის განმარტებაში მითითებულია, რომ აღნიშნული ქმედება შეიძლება, ჩადენილ იქნას ონლაინ ან ნებისმიერი სხვა ფორმით. მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში არის კიბერძალადობის ფორმები გამოყოფილი ცალკე დანაშაულებად და ხაზგასმულია მისი გენდერული განზომილება. ამ ქვეთავში ჩვენ იმ კანონმდებლობით ვინტერესდებით, რომელიც ცალკე დანაშაულად აღიარებს კიბერძალადობის სხვადასხვა ფორმებს.

მუქარა ონლაინ სივრცეში

საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად, დასჯადია ძალადობის მუქარა ან მსხვერპლის მუდმივი დევნა, რომელიც ხორციელდება სატელეკომუნიკაციო ან ელექტრონული საშუალებების გამოყენებით და იწვევს მსხვერპლის ტერორს ან შფოთვას[86].

კვიპროსის კანონმდებლობის თანახმად, პირისთვის, რომელიც:

---

[85] GREVIO Baseline Evaluation Report, Romania, 2022, პარა. 41.

[86] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 27; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, vi: https://www.lawspot.gr/nomikes- plirofories/nomothesia/pk/arthro-333-poinikos-kodikas-apeili

ა) საჯარო საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით აგზავნის შეტყობინებას, რომელიც აშკარად შეურაცხმყოფელი და/ან უხამსი, ან მუქარის შემცველია, ან

ბ) საჯარო საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით აგზავნის შეტყობინებას სხვა პირის გაღიზიანების, შევიწროების ან/და საფუძვლიანი შეშფოთების გამოწვევის მიზნით, რომელიც იცის, რომ არის ყალბი და/ან მუდმივად იყენებს საჯარო საკომუნიკაციო ქსელს[87], აღნიშნული ქმედება ისჯება სისხლის სამართლის წესით და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დამნაშავეს ემუქრება ჯარიმა 1700 ევროს ოდენობით[88].

თვალთვალი ონლაინ სივრცეში

ესპანეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შემდეგი ქმედებების ჩადენისათვის:

ა) ადევნება;

ბ) პირთან დაკავშირება ან ნებისმიერი საშუალებით დაკავშირების მცდელობა;

გ) ნებისმიერი განცხადების ან სხვა მასალის გამოქვეყნება ნებისმიერი საშუალებით: 1. რომელიც ეხება, ან ვითომდა ეხება პიროვნებას, ან 2. თითქოს ნაწარმოებია თავად ამ პიროვნებისგან;

დ) პირის მიერ ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტის ან ელექტრონული კომუნიკაციის ნებისმიერი სხვა ფორმის გამოყენების მონიტორინგი;

ე) საეჭვო ქმედება საჯარო ან კერძო სივრცეში;

ვ) პირის მფლობელობაში არსებულ ნებისმიერ ქონებაში ჩარევა;

ზ) თვალთვალი[89].

---

[87] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 27; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, x.

[88] იქვე.

[89] Ley Orgánica 10/1995, de 23 de noviembre, del Código Penal, Última actualización publicada el 28/04/2023,
Artículo 172 ter, https://www.boe.es/buscar/act.php?id=BOE-A-1995-25444

სლოვაკეთის კანონმდებლობით ისჯება პირი, ვინც განმეორებითი დაკვირვების, დევნის ან შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გზით პირდაპირი კონტაქტის ან ელექტრონული საშუალებების გამოყენებით თვალყურს ადევნებს სხვას, აშინებს მას ან მის ნათესავს[90].

ჩეხეთის კანონმდებლობის თანახმად, დასჯადია პირის სახიფათო დევნა, რაც გამოიხატება შემდეგ ქმედებებში:

ა) ემუქრება სხეულის დაზიანებით ან სხვა ზიანს აყენებს მას ან მის ახლობელს;

ბ) ეძებს ან დაჰყვება მას;

გ) მუდმივად უკავშირდება მას ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენებით, წერილობით ან სხვა ფორმით;

დ) ბოროტად იყენებს მის პერსონალურ მონაცემებს პირადი ან სხვა კონტაქტის მოპოვების მიზნით, რამაც შეიძლება, მსხვერპლში გამოიწვიოს მისი ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის საფუძვლიანი შიში[91].
უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლის თანახმად, დანაშაულად არის აღიარებული ცილისწამება და ისჯება პირი, რომელიც სხვა პირის წინაშე აცხადებს, ავრცელებს ან იყენებს ისეთ ფაქტებს, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის რეპუტაციას. პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ ცილისწამება ჩადენილია: ა) რაიმე მიზნით ან მიზეზით; ბ) დიდი აუდიტორიის წინაშე; გ) რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა პირის ინტერესები[92].

კიბერძალადობა გენდერის ნიშნით

როგორც ზემოთ აღინიშნა, გენდერის კომპონენტს კიბერძალადობისას ყველა ქვეყანა არ ითვალისწინებს, რაც ართულებს მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. ამ მხრივ, გამორჩეულია რუმინეთი. რუმინეთმა ცოტა ხნის წინ აღიარა კიბერძალადობა, როგორც ოჯახში ძალადობის ფორმა, ახალი საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით. ოჯახური ძალადობა ახლა მოიცავს დებულებას სპეციალურად „კიბერძალადობისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს, „დაამციროს, შეაშინოს, გააჩუმოს ან დაემუქროს მსხვერპლს“[93]. ეს მოიცავს ონლაინ მუქარას ან შეტყობინებებს, ან როდესაც პარტნიორი აზიარებს ინტიმურ გრაფიკულ კონტენტს, მასზე გამოსახული პირის თანხმობის გარეშე. კანონი,

---

[90] Slovakia - Stalking, https://www.coe.int/en/web/cyberviolence/-/slovakia-criminal-code-provisions-applied-to- cyberviolence

[91] Czech Republic - Stalking, https://eige.europa.eu/gender-based-violence/regulatory-and-legal-framework/legal- definitions-in-the-eu/czech-republic-stalking?language_content_entity=en

[92] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 28; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, xxxiii.

[93] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 103; Romania criminalises cyber harassment as a form of domestic violence, <https://www.euronews.com/my-europe/2020/07/09/romania-criminalises-cyber-harassment-as-a-form-of-domestic- violence >

ასევე, მოიცავს უკანონო წვდომას კომუნიკაციებსა და პირად მონაცემებზე, კომპიუტერების, სმარტფონების ან იმ მოწყობილობების საშუალებით, რომელსაც ინტერნეტთან დაკავშირება შეუძლია[94].

საფრანგეთმა 2018 წლის 3 აგვისტოს მიიღო კანონი, რომელმაც მოიცვა კიბერ შევიწროებაც (საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 222-33-2 მუხლი, მორალური შევიწროების შესახებ). კიბერ შევიწროება განისაზღვრება, როგორც განმეორებითი კომენტარები, შეურაცხყოფა ან მუქარა ინტერნეტის საშუალებით (სოციალურ ქსელში, ფორუმის მრავალმოთამაშიან ვიდეოთამაშში, ბლოგზე და ა. შ.), მსხვერპლის ცხოვრების პირობების გაუარესების მიზნით ან შედეგით, რამაც, შეიძლება, გამოიწვიოს მდგომარეობის გაუარესება, პირის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის დაზიანება. კიბერ შევიწროების მსხვერპლებს შეუძლიათ, მოითხოვონ კონტენტის (კომენტარები, ვიდეოები, სურათები, შეტყობინებები და ა. შ.) წაშლა მათი ავტორისგან ან ელექტრონული ქსელისგან. კიბერ შევიწროება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით. დამამძიმებელი გარემოებაა, თუ მსხვერპლი 15 წლამდე ასაკისაა[95].

გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა

ევროპარლამენტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, განაახლონ თავიანთი ეროვნული კანონები და შეიტანონ „გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა“ სქესობრივი დანაშაულების სიაში[96].

ბელგიას აქვს სპეციალური დებულება თავის სისხლის სამართლის კოდექსში ონლაინ არაკონსენსუალური პორნოგრაფიის ან გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობის შესახებ („ვუაიერიზმი-პორნო შურისძიება“). მუხლი 371/1 ადგენს 6 თვიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას მათთვის, ვინც თანხმობის გარეშე ხელმისაწვდომს გახდის შიშველი ადამიანის ან აშკარა სექსუალური აქტივობით დაკავებული პირის ვიზუალურ სურათებს ან აუდიოჩანაწერს, თუნდაც ეს პირი დაეთანხმოს მის გადაღებას. იგივე სასჯელი დაეკისრება მას, ვინც უთვალთვალებს ან იწერს ადამიანს შიშველს ან აშკარა სექსუალურ აქტივობაში ჩართულს, თუნდაც არ მოხდეს ამის გავრცელება. აქედან გამომდინარე, ბელგიაში კონტენტის გავრცელება არ არის სასჯელის წინაპირობა.

---

[94] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 103; Romania criminalises cyber harassment as a form of domestic violence, <https://www.euronews.com/my-europe/2020/07/09/romania-criminalises-cyber-harassment-as-a-form-of-domestic- violence >

[95] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 103.

[96] European Parliament resolution of 14 December 2021 with recommendations to the Commission on combating gender-based violence: cyberviolence (n 6) Recital 17.

სასჯელი იზრდება, თუ მსხვერპლი არასრულწლოვანია[97].

ჩეხეთის რესპუბლიკაში სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს „არაკონსენსუალური პორნოგრაფიის“ განმარტებას, რომლის მიხედვითაც, ის ჩადენილია ინტერნეტის გამოყენებით, მსხვერპლის ცოდნის გარეშე, რაც მოიცავს ეროტიკული ფოტოების გამოქვეყნებას ეროტიკულ რეკლამასთან და საკონტაქტო დეტალებთან ერთად, იწვევს მის შეურაცხყოფას და შევიწროებას. კიბერ ადევნება და კიბერ შევიწროება ასევე აღიარებულია და განსაზღვრულია ჩეხეთის სისხლის სამართლის კოდექსში[98].

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელებს გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობისთვის ან არაკონსენსუალური პორნოგრაფიისთვის. ის სჯის მესამე პირის მიერ პირად სივრცეში მოპოვებული სურათების ან აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების გავრცელებას და გაზიარებას, პირის ნებართვის გარეშე. სანქცია შეიძლება, დამძიმდეს, თუ დამნაშავე არის ან იყო მსხვერპლის ინტიმური პარტნიორი. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი იცავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, ის არ იყენებს გენდერულ პერსპექტივას[99].

საფრანგეთმა 2016 წელს მიიღო ციფრული რესპუბლიკის კანონი, რომელიც ასანქცირებს მათ, ვინც დამნაშავედ ცნო გამოსახულებაზე დაფუძნებულ სექსუალურ ძალადობაში ან არაკონსენსუალურ პორნოგრაფიაში, ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და 60 000 ევრომდე ჯარიმით. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ყველა წევრი სახელმწიფო დანაშაულად აღიარებს გამოსახულებაზე დაფუძნებულ სექსუალურ ძალადობას, თუ მსხვერპლი ბავშვია, რადგან ეს ბავშვთა პორნოგრაფიად ითვლება.

რუმინეთმა მიიღო ეს მიდგომა. ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის კანონი გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობის ზოგიერთი ფორმის წინააღმდეგ, სექსუალური ძალადობის ფორმად, როგორც სტამბოლის კონვენციის ტრანსპოზიციის ნაწილი[100].

---

[97] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 103.

[98] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 104; Cyber violence and hate speech against women. European Parliament, Van der Wilk, A., 2018.

[99] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 104.

[100] GREVIO, ‘Baseline Evaluation Report on Legislative and Other Measures Giving Effect to the Provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention) Romania’, 2022, 12, ნანახია: < https://rm.coe.int/final-report-on-romania/1680a6e439 >.

შვედეთის კანონმდებლობა სურათზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობის მრავალ ფორმას მოიცავს, როგორც „ინტრუზიული ფოტოგრაფიის“ აქტებს და კონფიდენციალობის დარღვევას, ასევე „თავისუფლებისა“ და „მშვიდობის შესახებ“ კანონების ნაწილს[101].

ინტიმური ფოტოებით შანტაჟი

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლი დანაშაულად მიიჩნევს ქმედებას, თუ ფიზიკური პირი, დაინტერესებული პირის ნებართვის გარეშე, ავრცელებს ან გადასცემს მესამე პირებს დაინტერესებული პირის სურათებს ან აუდიოვიზუალურ ჩანაწერებს, რომელიც მიღებულია პირის თანხმობით, საცხოვრებელ ან ნებისმიერ სხვა ადგილას. პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ აღნიშნული ქმედების ჩამდენია პირის მეუღლე ან ინტიმური პარტნიორი[102].

მალტის კანონმდებლობით, ისჯება პირი, ვინც ემოციური ზიანის მიყენების განზრახვით, თანხმობის გარეშე, გაავრცელებს სექსუალური შინაარსის ფოტოს ან ვიდეოს[103].

ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლებით, დასჯადია სექსუალური ძალადობის ზოგიერთი ფორმა, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც დანაშაული სექსუალური მთლიანობის, სექსუალური თვითგამორკვევისა და საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ[104].

საფრანგეთის კანონმდებლობით, დასჯადია ნებისმიერი საშუალების გამოყენებით სხვა პირთა პირადი ცხოვრებისა და ინტიმური ურთიერთობის განზრახ დარღვევა, რაც გულისხმობს:

ა) კონფიდენციალურ ან პირად გარემოებებში წარმოთქმული სიტყვების მოსმენას, ჩაწერას ან გადაცემას, მათი თანხმობის გარეშე;

---

[101] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 462; Chapter 4, section 6a (intrusive photography) and Chapter 4, Section 6c (unlawful breach of privacy), Chapter 4 section 7 on molestation and Chapter 6 Section 10 on sexual molestation.

[102] Ley Orgánica 10/1995, de 23 de noviembre, del Código Penal, Última actualización publicada el 28/04/2023, Artículo 197, https://www.boe.es/buscar/act.php?id=BOE-A-1995-25444

[103] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 28.

[104] Legal Provisions, Belgium, Article 371/1, https://resourcehub.bakermckenzie.com/en/resources/fighting-domestic- violence/europe/belgium/topics/1legal provisions#:~:text=Voyeurism%20(Article%20371%2F1%20of,%2C%20making%20accessible%20or%20broadcas ting).

ბ) პირის პირადი სურათის გადაღებას, ჩაწერას ან გადაცემას, დაინტერესებული პირის თანხმობის გარეშე[105].

შვედეთის კანონმდებლობით, ისჯება პირი, რომელიც უკანონოდ, ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ფარულად აფიქსირებს პირის სურათს, რომელიც იმყოფება სახლში, აბაზანაში, გასახდელში ან სხვა მსგავს სივრცეში[106].

პოლონეთის კანონმდებლობით, ისჯება თანხმობის გარეშე შიშველი გამოსახულების ჩაწერა[107], ხოლო გერმანიის კანონმდებლობით, დასჯადია სხეულის ინტიმური ნაწილების გადაღება[108].

კიბერბულინგი

იტალიას აქვს სპეციალური კანონმდებლობა კიბერძალადობის შესახებ, მაგრამ ის მხოლოდ არასრულწლოვნებს იცავს. კანონში, სახელწოდებით „კანონი No. 71/2017 არასრულწლოვანთა დაცვისა და კიბერბულინგის პრევენციისა და დაძლევის შესახებ რეგულირების შესახებ“, მოცემულია კიბერბულინგის განმარტება: „როგორც არ უნდა იყოს ფსიქოლოგიური ზეწოლა, აგრესია, შევიწროება, შანტაჟი, დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, იდენტობის მოპარვა, შეცვლა, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების უკანონო მოპოვება, მანიპულაცია, მონაცემთა უკანონო დამუშავება ან ელექტრონული საშუალებებით გავრცელება, მათ შორის ონლაინ კონტენტის გავრცელება. ეს ასახავს, ასევე, არასრულწლოვანთა ოჯახის ერთ ან მეტ კომპონენტს, რომლის განზრახი და უპირატესი მიზანია არასრულწლოვნის ან არასრულწლოვანთა ჯგუფის სერიოზული შეურაცხყოფა ან მავნე თავდასხმა, ფართოდ გავრცელებული და ორგანიზებული დაცინვის გზით“[109].

ზრდასრული მსხვერპლების მიმართ სხვა სახის კიბერძალადობის ან დანაშაულის შემთხვევაში, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი დებულება ასევე

---

[105] French Penal Code, Article 226-1, https://www.equalrightstrust.org/ertdocumentbank/french_penal_code_33.pdf

[106] Swedish Criminal Code, Chapter 4, Section 6a, https://www.government.se/contentassets/7a2dcae0787e465e9a2431554b5eab03/the-swedish-criminal-code.pdf

[107] Polish Criminal Code, Article 191a, https://supertrans2014.files.wordpress.com/2014/06/the-criminal-code.pdf

[108] German Criminal Code, Section 201a, https://www.gesetze-im- internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p1935

[109] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 104.

შეიძლება, გამოყენებულ იქნას ონლაინ სფეროზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი, ადევნებისგან განსხვავებით, პირდაპირ არ არის ნახსენები (612-bis პუნქტი)[110]. გარდა ამისა, არსებობს 2019 წლის გენდერული ძალადობის კანონი. მე-10 მუხლი ეხება სექსუალური ხასიათის სურათების ან ვიდეოების უკანონო გავრცელებას და ადგენს სასჯელ ჩარჩოს: ვინც ამ კონტენტს გამოაქვეყნებს მასზე წარმოდგენილი პირების თანხმობის გარეშე, ემუქრება თავისუფლების აღკვეთა ერთიდან ექვს წლამდე და ჯარიმა 5000-დან 15000 ევრომდე. ეს ჯარიმა მეორეხარისხოვან აქტორებზეც ვრცელდება[111].

კიბერ გრუმინგი

რუმინეთის კანონმდებლობით, დასჯადია ბავშვთა პორნოგრაფია. კერძოდ:

ა) ბავშვთა პორნოგრაფიის დამზადება, გამოქვეყნება ან გავრცელება, შეძენა, შენახვა, ჩვენება-პოპულარიზაცია ან ნებისმიერი საშუალებით საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა[112];

ბ) პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ზემოაღნიშნული ქმედება ჩადენილია კომპიუტერული სისტემის ან მონაცემთა შენახვის სხვა საშუალებების გამოყენებით[113].

ასევე, დასჯადია აღნიშნული ქმედების მცდელობა[114].

კანონმდებლობა, ასევე, განმარტავს, თუ რას ნიშნავს ბავშვთა პორნოგრაფია. კერძოდ, ბავშვთა პორნოგრაფია ნიშნავს ნებისმიერ მასალას, სადაც ასახულია არასრულწლოვანი, რომელიც ავლენს სექსუალურად გამოხატულ ქცევას ან რომელიც, თუნდაც არარეალური პიროვნების მონაწილეობით, არასრულწლოვნის მსგავსი ქცევის დამაჯერებელ სიმულაციას ახდენს[115].

საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 337-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად,

---

[110] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 104; < https://www.coe.int/en/web/cyberviolence/italy#:~:text=Article%201%20of%20the%20law,illicit%20acquisition%2C%20manipulation%2C%20unlawful%20processing >.

[111] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 104.

[112] Romania, Sexual Offences Against Children, Criminal Code, Article 374(1), https://www.icmec.org/wp- content/uploads/2018/08/ICMEC-Romania-National-Legislation.pdf

[113] იქვე, მუხლი 374(2).

[114] იქვე, მუხლი 374(5).

[115] იქვე, მუხლი 374(4).

ისჯება ნებისმიერი სრულწლოვანი, რომელიც ინტერნეტით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით 15 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან ამყარებს კომუნიკაციას უხამსი ჟესტებისა თუ წინადადებების გამოყენებით[116].

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით, დასჯადია ინტერნეტის, ტელეფონის ან ნებისმიერი სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენებით 16 წლამდე არასრულწლოვანთან დაკავშირება, რომელიც მიზნად ისახავს ამ პირის მოტყუებას მისთვის პორნოგრაფიული მასალის გაგზავნით ან არასრულწლოვანთა პორნოგრაფიული სურათების ჩვენებით[117].

სლოვენიის სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს პასუხისმგებლობას 15 წლამდე ასაკის პირების სექსუალური მიზნებით მანიპულირებისთვის[118].

ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, ისჯება სრულწლოვანი, რომელიც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით შეხვედრას სთავაზობს 16 წლის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანს, ამავე კოდექსის VI და VII თავებში მითითებული დანაშაულის ჩადენის მიზნით[119].

ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ვინც საინფორმაციო ან საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ან სხვა გზით აწვდის ან აგროვებს ინფორმაციას 18 წლამდე ასაკის პირის შესახებ, რათა დაამყაროს კონტაქტი სქესობრივი კავშირის, სქესობრივი აქტის, პროსტიტუციის, პორნოგრაფიული მასალის შექმნის მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ექვს წლამდე ვადით და ჯარიმით, ხუთი ათასიდან ათ ათას ლევამდე ოდენობით[120].

საფრანგეთის კანონმდებლობით, დასჯადია სრულწლოვნის მიერ სექსუალური შინაარსის წინადადებით მიმართვა 15 წლის არასრულწლოვნისათვის ან იმ პირისათვის, რომელიც თავს ასეთად წარმოაჩენს კომუნიკაციის ისეთი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა ინტერნეტი[121].

---

[116] Greek Cybercrime Center: Grooming, https://www.cybercc.gr/en/legislation/grooming/

[117] Ley Orgánica 10/1995, de 23 de noviembre, del Código Penal, Última actualización publicada el 28/04/2023, Artículo 183, https://www.boe.es/buscar/act.php?id=BOE-A-1995-25444

[118] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 28; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, xxxi.

[119] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 28; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, xx.

[120] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 28; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, xxi.

[121] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 28; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, xxv.

ლატვიის კანონმდებლობით, იკრძალება არასრულწლოვნების სექსუალურ აქტებში ჩართვის წახალისება. კერძოდ, დანაშაულად ითვლება სრულწლოვნის მიერ 16 წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვნისათვის მოწოდება, ჩაერთოს სექსუალურ აქტებში, ან შეხვდეს მას, სექსუალური აქტის ან სექსუალური ურთიერთობის დასაწყებად, საინფორმაციო ან საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით[122].

ლუქსემბურგის კანონმდებლობით, დასჯადია ქმედება, როდესაც სრულწლოვანი 16 წლამდე არასრულწლოვანს ან იმ პირს, რომელიც თავს ასეთად წარმოაჩენს, უგზავნის სექსუალური შინაარსის წინადადებას, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით[123].

კიბერშევიწროება

რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, დასჯადია დისტანციური საკომუნიკაციო მოწყობილობების გამოყენებით სატელეფონო ზარების განხორციელება ან სხვაგვარი გზით კომუნიკაცია, რომელიც, მისი სიხშირიდან და შინაარსიდან გამომდინარე, იწვევს შიშს[124].

ავსტრიის კანონმდებლობის თანახმად, ისჯება იმ პირის ქმედება, ვინც ტელეკომუნიკაციის საშუალებით ან კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, იმგვარად, რომ შესაძლოა, პირის ცხოვრების წესზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოახდინოს არაგონივრული გავლენა,

1. შეურაცხყოფს პირის ღირსებას ადამიანთა დიდი რაოდენობისათვის აღქმადი სახით, ან

2. პირის თანხმობის გარეშე, ფაქტებს ან ფოტოებს მისი ცხოვრების ყველაზე პირადი სფეროს შესახებ აღქმადს ხდის, ადამიანთა დიდი რაოდენობისათვის[125].

---

[122] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 28; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, xxvi.

[123] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 28; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, xxviii.

[124] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 27; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, iv.

[125] Austria: Criminalising cyber harassment: https://www.coe.int/en/web/cyberviolence/-/austria-criminalising- cyberharassment

სლოვაკეთის კანონმდებლობის თანახმად, დასჯადია ქმედება, როდესაც პირი განზრახ ამცირებს სხვა ადამიანს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების, კომპიუტერული სისტემის ან კომპიუტერული ქსელის მეშვეობით:

ა) გრძელვადიანი ზიზღის, დაშინების, მისი სახელით მოქმედების ნებართვის გარეშე ან სხვა მსგავსი გრძელვადიანი შევიწროების მიზნით;

ბ) პირის თანხმობით მიღებული მისი პირადი ხასიათის ვიდეოს, აუდიო ან ვიდეო-აუდიო ჩანაწერის უნებართვო გამოქვეყნებით ან სხვა პირისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით, რომელსაც შეუძლია, საფრთხე შეუქმნას მის რეპუტაციას ან გამოიწვიოს სხვა სერიოზული ზიანი[126].

ავსტრიაში კრიმინალიზებულია „ტელეკომუნიკაციურ ან კომპიუტერულ სისტემასთან დაკავშირებული მუდმივი შევიწროება“ (§107c, სისხლის სამართლის კოდექსი). პირს შეიძლება, დაეკისროს თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე, თუ „სატელეკომუნიკაციო ან კომპიუტერულ სისტემას გამოყენებს იმგვარად, რომ შესაძლოა, გამოიწვიოს უსაფუძვლო ჩარევა სხვა პირის ცხოვრების წესში, განუწყვეტლივ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში: **(1)** შეურაცხყოფს სხვას, ადამიანთა დიდი რაოდენობის წინაშე, ან **(2)** სხვისი პირადი სფეროს დეტალებს ან ვიზუალურ მასალას თანხმობის გარეშე უზიარებს ადამიანთა დიდ რაოდენობას“. თუ დანაშაულს მოჰყვება მსხვერპლის თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა, მაშინ სასჯელი შეიძლება, გაიზარდოს თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე[127].

---

[126] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, viii.

[127] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 104.

სიძულვილის ენა ონლაინ სივრცეში

სიძულვილის ენა ყველა ქვეყანაში არ არის დასჯადი, მაგრამ რამდენიმე წევრი სახელმწიფოში - ესპანეთში, ნიდერლანდებში, ბულგარეთში, საბერძნეთში, ხორვატიში, პორტუგალიასა და მალტაში, ცალსახად ისჯება ონლაინ სიძულვილის ენა. თუმცა, სიძულვილის ენა ყველა შემთხვევაში არ ვრცელდება სქესზე ან გენდერზე[128]. ზოგიერთი წევრი სახელმწიფო, აღნიშნულის დასარეგულირებლად, მიმართავს სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ სხვა დებულებებს, ქმედების კრიმინალიზაციისთვის. სიძულვილის ენის რეგულირებისას, გენდერულ ასპექტს ითვალისწინებენ შემდეგი ქვეყნები: ესტონეთი, ესპანეთი, ლატვია, ლიეტუვა, უნგრეთი, მალტა, ავსტრია, პორტუგალია[129].

გერმანია ამ საკითხის დასაფარად იყენებს ბევრ სამართლებრივ დებულებას, რომელიც არ არის სპეციფიკური კიბერძალადობისთვის - სისხლის სამართლის კოდექსის სამართლებრივ დებულებებს ადევნების, შევიწროების, მუქარის ან შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც შეიძლება, მოხდეს ონლაინ გარემოში. სისხლის სამართლის გარდა, შესაბამისი დებულებები და წესები გვხვდება სამოქალაქო სამართალში, როგორიცაა კომპენსაცია და წაშლა. ასევე, ამას ფარავს შრომის სამართალი (გამაფრთხილებელი შეტყობინება და ადმინისტრაციული სამართალი, მათ შორის - პოლიციის კანონი და მომსახურების მიმწოდებლების რეგულაციები)[130].

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის შევიწროების ან ადევნების დებულებები შეიძლება, გამოყენებულ იქნას ონლაინ სამყაროში, რადგან ის სჯის შევიწროების ან თვალთვალის ყველა ფორმას[131].

კვირპოსის კანონმდებლობის მიხედვით, დასჯადია სექსისტური შინაარსის ინფორმაციის განზრახ გავრცელება ინტერნეტის საშუალებით[132].

---

[128] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 104.

[129] Combating Cyber Violence against Women and Girls, EIGE, 2022, იხილეთ: https://eige.europa.eu/sites/default/files/documents/combating_cyber_violence_against_women_and_girls.pdf

[130] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 105.

[131] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 105.

[132] EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, P. 27; EIGE, Combating Cyber Violence against Women and Girls, 2022, Annex 5. Legal notes to Chapter 3, xiii.

სხვა არასისხლისსამართლებრივი დებულებები

2017 წელს **გერმანიამ** მიიღო კანონი სოციალურ ქსელებში კანონის აღსრულების გაუმჯობესების შესახებ, რის შემდეგაც 2 მილიონზე მეტი რეგისტრირებული მომხმარებლის მქონე სოციალურ ქსელებს მოეთხოვებათ, უზრუნველყონ საჩივრების ეფექტური მენეჯმენტი და წაშალონ ან დაბლოკონ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეული დებულებებით უკანონო კონტენტი, რომელიც მოიცავს კოდექსის 201ა პუნქტს, ინტიმური კონფიდენციალობის დარღვევის შესახებ. კიდევ ერთი კანონი, რომელიც იმსახურებს აღნიშვნას, არის სამოქალაქო სამართლის კანონი ძალადობის და ადევნების აქტების პრევენციის შესახებ („Gewaltschutzgesetz"), რომელიც სასამართლოს საშუალებას აძლევს, მიიღოს საჭირო ზომები, შემდგომი გადაცდომის თავიდან ასარიდებლად[133].

ლიეტუვაში არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად ეხმარებიან გენდერული ძალადობის მსხვერპლებს. ეს ცენტრები მხარს უჭერენ ძალადობის მსხვერპლებს, აცნობენ მსხვერპლს დახმარების ტიპების და ადგილების შესახებ, შეუძლიათ, მიიღონ და წარმოადგინონ ისინი სხვა ინსტიტუტებში, უწევენ ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას და ეხმარებიან ოჯახის წევრებთან ინტერპერსონალური ურთიერთობების აღდგენაში[134]. ამ ცენტრების მეშვეობით, გენდერული კიბერძალადობის მსხვერპლს დახმარების მიღება შეუძლია. ლიეტუვამ, ასევე, განახორციელა ევროკომისიის უსაფრთხო ინტერნეტის პროგრამა, დააარსა უსაფრთხო ინტერნეტის კონსორციუმი, რომელიც შედგება ოთხი პარტნიორისგან: ორი სამთავრობო ორგანო, არასამთავრობო ორგანიზაცია და ასოციაცია. გარდა ამისა, ლიეტუვამ 2016 წელს გამოაქვეყნა მედიის თვითრეგულირების ახალი კოდექსი, რომელიც კრძალავს ადამიანის გენდერის ნიშნით დაცინვას, იდენტობის სხვა ფორმებთან ერთად და სექსუალური აგრესიის მსხვერპლის გვარის გამოქვეყნებას[135]. კანონმდებლობაში, განათლების შესახებ კანონის 23-ე მუხლი ქმნის სტრუქტურას, რომლის საშუალებითაც, მოქალაქეებს შეუძლიათ, შეატყობინონ კიბერბულინგის ფაქტების შესახებ კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს ვებგვერდზე[136].

---

[133] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 105.

[134] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 105.

[135] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 105; Republic of Lithuania national-level review on the Implementation of the Beijing Declaration and Platform for Action (1995), For the Period from 2014 to 2019 < https://unece.org/fileadmin/DAM/RCM_Website/Lithuania.pdf >

[136] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 105; Lietuvos Respublikos švietimo įstatymas < https://www.e- tar.lt/portal/lt/legalAct/TAR.9A3AD08EA5D0/rtjabACXQY >

ნიდერლანდებში არის მნიშვნელოვანი ინიციატივა გენდერული კიბერძალადობისთვის. Expertise centrum online misbruik kinderen (ბავშვთა ონლაინ სექსუალური ძალადობის ექსპერტიზის ცენტრი - INHOPE - ცხელი ხაზის ადგილობრივი ფილიალი) ფუნქციონირებს ცხელ ხაზზე, ასევე ვებგვერდის საინფორმაციო და მასთან დაკავშირებული ჩატის ან სხვა საკონტაქტო მეთოდებით, სახელწოდებით "დახმარება". ეს ვებგვერდი ძირითადად მიმართულია სექსტორციისა და არასასურველი ყალბი პორნოს გამოქვეყნების წინააღმდეგ[137].

შვედეთში გენდერული თანასწორობის საკითხები მთავრობისთვის პრიორიტეტია. ქვეყანამ აღიარა კონკრეტულად კიბერ შევიწროება, როგორც თანასწორობის ერთ-ერთი საკითხი, რომელიც უნდა გადაიჭრას. „გენდერის ნიშნით კიბერ შევიწროება სხვადასხვა ფორმებს იღებს. ხშირად აზიარებენ გოგონების სექსუალური ხასიათის ფოტოებს და მათ სექსუალურ ჩვევებზე დამამცირებელ შენიშვნებს აკეთებენ. ქალებისთვის ეს ხშირად გულისხმობს შეურაცხმყოფელ შენიშვნებს ან შეურაცხმყოფელ გამოხმაურებას, ონლაინ და ტექსტური შეტყობინებების, სატელეფონო ზარების ან პირისპირ შეხვედრების საშუალებით"[138].

კიბერძალადობის სუბიექტური შემადგენლობა

რაც შეეხება მენტალურ ელემენტებს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, სისხლის სამართლის დებულებები მოითხოვს დამნაშავის განზრახვის მტკიცებულებას, თუმცა, მაგალითად, ირლანდია ავრცელებს ამას კონკრეტულ შემთხვევებში დაუდევრობაზეც. განზრახვის სხვა ელემენტები არსებითად განსხვავდება. მაგალითად, ძირითადი განსხვავებაა თანხმობის არქონაზე ფოკუსირებულ დებულებებსა და იმ დებულებებს შორის, რომელიც საჭიროებს დამატებით მტკიცებულებას დამნაშავის მოტივებთან დაკავშირებით. მალტის კანონი, მაგალითად, მოითხოვს მტკიცებულებას ყველა შემთხვევაში, რომ მოძალადე მიზნად ისახავდა მსხვერპლისათვის ზიანის მიყენებას[139]. მაგალითად, ირლანდიური კანონი ითვალისწინებს დანაშაულს, რომელიც ფოკუსირებულია თანხმობის არქონაზე და მოითხოვს მხოლოდ ინტიმური სურათის განზრახ ჩაწერის ან გავრცელების მტკიცებულებას. მიუხედავად ამისა, ასევე უნდა დადასტურდეს, რომ ამგვარმა ქმედებებმა ან ზიანი მიაყენა, ან შესაძლოა, სერიოზულად შეაფერხოს მსხვერპლის სიმშვიდე და კონფიდენციალობა[140]. შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6გ ნაწილის მე-4

---

[137] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 105; < https://www.coe.int/en/web/cybercrime/-/netherlands-centre-for- expertise-on-online-child-sexual-abuse > (ლინკი არ იხსნება)

[138] Combating gender-based violence: Cyber violence, N. Lomba, C. Navarra and M. Fernandes, European Parliamentary Research Service, 2021, 105; < https://www.government.se/opinion-pieces/2016/04/challenging- cyber-harassment-for-women-and-girls-worldwide/ > (ბმული არ იხსნება)

[139] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 466; Section 208E of the Maltese Criminal Code, as discussed in Sara De Vido and Lorena Sosa.

[140] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 466.

თავის მიხედვით, კონფიდენციალობის დარღვევა დამოკიდებულია პირისთვის მიყენებულ სერიოზულ ზიანზე. იგივენაირად, ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის მე-7 ნაწილი მოითხოვს გამჟღავნებას, რათა შელახულად ჩაითვალოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება[141].

არსებობს სხვა განსხვავებებიც ქვეყნის კანონმდებლობებს შორის. მაგალითად, იტალიის კანონმდებლობაში არ არის საჭირო ზიანის მიყენების განზრახვა, როდესაც სურათები მოპარულია ან გადაიღებულია თანხმობის გარეშე, მაგრამ თუ მიღებულია თანხმობით, მათი გავრცელება მოითხოვს ზიანის მიყენების განზრახვას[142]. სხვა ქვეყნებში, ზიანის მიყენების განზრახვა არის დამამძიმებელი გარემოება, სასჯელთან მიმართებაში (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 160ბ(3) მუხლი), ან უფრო მძიმე დანაშაულის ელემენტი (მაგალითად, ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 417/10 მუხლი და ირლანდიის „შევიწროება, მავნე კომუნიკაციები და მასთან დაკავშირებული დანაშაულების შესახებ“ 2020 წლის კანონი)[143].

სხვა ქვეყნების გამოცდილება

ალბანეთი

ალბანეთის კანონმდებლობა პირდაპირ არ არეგულირებს ონლაინ გენდერის ნიშნით ძალადობას, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის 108/ა მუხლი ამბობს, რომ სექსუალური ქმედებების ჩადენა, რომელიც ლახავს პირის ღირსებას, ნებისმიერი საშუალებით ან ფორმით, ქმნის მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს, ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად და ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ერთიდან ხუთ წლამდე[144]. სქესი წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას (ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის „ჯ“ პუნქტი, 1995 წ./განახლებულია)[145].

---

[141] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 466.
[142] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 466.
[143] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 466.
[144] Cyber Violence against Women and Girls in the Western Balkans: Selected Case Studies and a Cybersecurity Governance Approach, E. Dorokhova, H. vale, V. Laçí, A. Mahmutovic, Geneva Centre for Security Sector Governance, 2021, 18; Kodi Penal I Republikës Së Shqipërisë, Added Article 108/a with Law No. 144, dated 2.5.2013, Article 24, 2016, <www.pp.gov.al/web/kodi_penal_2016_1033.pdf >
[145] Cyber Violence against Women and Girls in the Western Balkans: Selected Case Studies and a Cybersecurity Governance Approach, E. Dorokhova, H. vale, V. Laçí, A. Mahmutovic, Geneva Centre for Security Sector Governance, 2021, 18.

ასევე, დისკრიმინაციისგან დაცვის შესახებ კანონში ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა დაამატა სექსუალური შევიწროება, როგორც დისკრიმინაციის ფორმა[146]. ეს კანონი სექსუალურ შევიწროებას განმარტავს, როგორც არასასურველ, სიტყვიერ ან არავერბალურ, სექსუალური ხასიათის ქცევას, რომელსაც აქვს ღირსების შელახვის მიზანი ან შედეგი, პიროვნების დაშინების, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა[147].

მექსიკა

მექსიკა ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც 2021 წლის შემდეგ ყველაზე მეტი საკანონმდებლო რეფორმა განხორციელდა გენდერის ნიშნით ონლაინ ძალადობის წინააღმდეგ, როგორიცაა გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობის მოქცევა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებულ კანონებში. ოლიმპიას კანონი (რომელიც 2011 წელს გამოსახულებაზე დაფუძნებული ძალადობის მსხვერპლის, ოლიმპია კორალ მელოს სახელითაა ცნობილი) მნიშვნელოვანი იყო ონლაინ ძალადობის სიმძიმის აღიარებისთვის ეროვნულ დონეზე, რამაც განაპირობა სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა დანაშაულის ახალი ფორმების ჩართვით და საფუძველი ჩაუყარა მექსიკაში ონლაინ ძალადობის პრევენციის, რეაგირებისა და აღმოფხვრის კოორდინაციასა და განხორციელებას. დღეისათვის, ამან გამოიწვია 35 სამართლებრივი რეფორმა 28 ადგილობრივ საკანონმდებლო ცვლილებაში. ეს მოიცავს გამოძალვის, მუქარის, კიბერ შევიწროების, სექსუალური შევიწროების და არაკონსენსუალური გამოსახულების გაზიარების კრიმინალიზაციას[148].

---

[146] Cyber Violence against Women and Girls in the Western Balkans: Selected Case Studies and a Cybersecurity Governance Approach, E. Dorokhova, H. vale, V. Laçí, A. Mahmutovic, Geneva Centre for Security Sector Governance, 2021, 18; Albanian Parliament, official website, Ligjnr. 124/2020 Për Disa Shtesa Dhe Ndryshime Në Ligjin Nr. 10221, Datë 4.2.2010 "Për Mbrojtjen Nga Diskriminimi" (additions and amendments in the Law on Protec- tion from Discrimination No. 10221, dated 4.2.2010), 2020.

[147] Cyber Violence against Women and Girls in the Western Balkans: Selected Case Studies and a Cybersecurity Governance Approach, E. Dorokhova, H. vale, V. Laçí, A. Mahmutovic, Geneva Centre for Security Sector Governance, 2021, 18.

[148] Accelerating Efforts to Tackle Online and Technology Facilitated Violence Against Women and Girls (VAWG), UN women, 8; OEA/ONU Mujeres 2022 Informe | Ciberviolencia y Ciberacoso contra las mujeres y niñas en el marco de la Convención Belém Do Pará.

კორეა

ციფრული სახის სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერის ცენტრი კორეაში სთავაზობს ადამიანებს სრულყოფილ მხარდაჭერას და დაცვას, ციფრული სახის სქესობრივი დანაშაულის შემთხვევაში. ეს მოიცავს კონსულტაციას, იურიდიულ დახმარებასა და სამედიცინო დახმარებას. ასევე, ერთ-ერთი სერვისია ციფრული კონტენტის წაშლა და საგამოძიებო თანამშრომლობა უცხოურ IT კომპანიებთან. ძალისხმევა, ასევე, ფოკუსირებულია ისეთ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებზე, როგორიცაა პრევენციული წაშლის მხარდაჭერა, რომელიც აღმოაჩენს ციფრულ ძალადობას, მის საჯაროობამდე[149].

ინგლისი, უელსი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია

კანონმდებლობების თანახმად, 2015 წლიდან, ინგლისსა და უელსში სისხლის სამართლის დანაშაულია პირადი, სექსუალური გამოსახულების გაზიარება თანხმობის გარეშე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ მოძალადემ ეს გააკეთა მსხვერპლისთვის ზიანის მიყენების მიზნით. მოცემული კანონმდებლობები არ ფარავს:

- ფოტოსურათის გაზიარებას სექსუალური დაკმაყოფილების, ფინანსური სარგებლის ან „სიცილის“ მიზნით;
- მუქარას;
- ყალბ სურათებს, როგორიცაა „ღრმა ყალბები“, ყალბი პორნო[150].

კანონი შოტლანდიაში უკეთესია - ის მოიცავს მუქარას, შეცვლილ სურათებს, ყალბ პორნოს, და იძლევა მსჯავრდების საშუალებას, მაშინაც კი, როდესაც დამნაშავე გაუფრთხილებლად მოიქცა. რაც შეეხება ჩრდილოეთ ირლანდიას, იგი ძირითადად მიჰყვება ინგლისურ და უელსურ კანონებს[151].

---

[149] Accelerating Efforts to Tackle Online and Technology Facilitated Violence Against Women and Girls (VAWG), UN women, 9.

[150] Shattering Lives and Myths: A Report on Image-Based Sexual Abuse. Australian Research Council (ARC), McGlynn, C. et al, 2019, 12.

[151] Shattering Lives and Myths: A Report on Image-Based Sexual Abuse. Australian Research Council (ARC), McGlynn, C. et al, 2019, 12.

სისხლის სამართლის კანონმდებლობების მიხედვით, ინგლისსა და უელსში დანაშაულია იმის თვალთვალი ან გადაღება, ვინც დაკავებულია სექსუალური აქტივობით ან იმყოფება კონდიფენციალურ გარემოებაში, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე ამას აკეთებს სექსუალური დაკმაყოფილების მიზნით. მაგალითად, სპორტდარბაზის გასახდელში გადაღებული სურათი პირის თანხმობის გარეშე არის მხოლოდ დანაშაული, თუ ეს კეთდება სექსუალური დაკმაყოფილების მიზნით[152].

ასევე, ინგლისსა და უელსში სისხლის სამართლის დანაშაულია „აფსქირთინგი" (კაბის აწევა), მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი ამას აკეთებს სექსუალური დაკმაყოფილების მოტივაციით, ან ტანჯვის (distress) გამოსაწვევად. თუ „აფსქირთინგისას" გადაღებული გამოსახულება გაზიარებულია, მაგალითად, პორნო ვებგვერდზე, ეს დანაშაულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კეთდება მსხვერპლისთვის ტანჯვის მისაყენებლად[153].

კანონი არ ეხება მეგობრებისათვის, ფინანსური სარგებლის მისაღებად და „დასაცინად" გაგზავნილ ფოტოებს[154].

ანალოგიურად, შოტლანდიის კანონი შემოიფარგლება მხოლოდ გარკვეული მოტივებით, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიაში კი კანონი „აფსქირთინგს" არ ფარავს[155].

გაერთიანებული სამეფოს „შურისძიების პორნოსთან დაკავშირებული დახმარების ხაზი" (Rape Porn Help, RPH) დაარსდა 2015 წელს და ეხმარება პირებს, არ გახდნენ არაკონსენსუალური ინტიმური გამოსახულების ძალადობის მსხვერპლი. შექმნის დღიდან, RPH ათასობით მსხვერპლს დაეხმარა, ქსელიდან დანაშაულებრივი მასალების ამოღების 90%-ზე მეტი მაჩვენებლით. მან 200 000-ზე მეტი ინდივიდუალური არაკონსენსუალური ინტიმური სურათი წარმატებით ამოიღო ინტერნეტიდან. ახლახან, RPH თანამშრომლობდა Meta-სთან, რათა გამოეშვა StopNCII.org - უფასო ინსტრუმენტი, რომელიც ინოვაციურ ტექნოლოგიას იყენებს არაკონსენსუალური ინტიმური გამოსახულების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთა მხარდასაჭერად, სურათის ციფრული თითის ანაბეჭდის შექმნით, რომელიც შემდეგ პროაქტიულად იქნება გამოვლენილი და ამოღებული, კონკრეტული სურათების გაზიარების თავიდან ასაცილებლად[156].

---

[152] Ibid.

[153] Ibid.

[154] Ibid.

[155] Ibid.

[156] Accelerating Efforts to Tackle Online and Technology Facilitated Violence Against Women and Girls (VAWG), UN women, 9; < https://stopncii.org/ >

არაბული ქვეყნების გამოცდილება

რამდენიმ არაბულმა ქვეყანამ შეცვალა თავისი სისხლის სამართლის კოდექსი, სექსუალური შევიწროების და ოჯახში ძალადობის კანონმდებლობით ონლაინ სექსუალური ძალადობის დაფარვის მიზნით. 2017 წლის ტუნისის კანონი 58 ეხება „ქალების ფიზიკურ, მორალურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ზიანს, კერძო თუ საჯარო სფეროში"; 2017 წლის ტუნისის №58 კანონის 33-ე მუხლი ასევე უფლებას აძლევს ონლაინ ძალადობის მსხვერპლებს, მოითხოვონ შემაკავებელი ორდერი დამნაშავეების მიმართ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ფიზიკური ზიანი[157]. ეგვიპტემ, ლიბანმა, საუდის არაბეთმა და მაროკომ ასევე, მსგავსი ცვლილებები შეიტანეს. იურიდიული ტექსტები ეგვიპტეში, ლიბანსა და საუდის არაბეთში კონკრეტულად სჯიან ონლაინ ძალადობასა და შევიწროებას, რომელიც ხდება სოციალური მედიის პლატფორმებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით. მაროკოს სისხლის სამართლის კოდექსი ეხება ონლაინ ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ფარავს ტელეფონით ან სხვა ელექტრონული მოწყობილობით მიღებულ წერილობით შეტყობინებებს, ჩანაწერებს და სექსუალური მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის სურათების შეძენას ან შექმნას, გავრცელებას, ვინმეს შეტყობინებებისა და ფოტოების გავრცელებას წინასწარი თანხმობის გარეშე და, ასევე, მოიცავს ცრუ ბრალდებების გავრცელებას, რომელიც მიზნად ისახავს ვინმეს პირადი ცხოვრებისთვის ზიანის მიყენებას ან ცილისწამებას, ნებისმიერი საშუალებით, ციფრული ხელსაწყოების ჩათვლით[158].

ქვეყნებმა, როგორიცაა იორდანია, მაროკო და ტუნისი, ონლაინ ძალადობასთან საბრძოლველად ასევე სპეციალიზებული სააგენტოები დააარსეს, ხოლო ოცდაორი არაბული ქვეყნიდან თხუთმეტმა შემოიღო დახმარების ხაზი ონლაინ ძალადობის მსხვერპლთათვის, ზოგიერთმა ქვეყანამ კი დანერგა ონლაინ პორტალები, ფორმები ან ელფოსტები, მსგავსი ინციდენტების შესატყობინებლად[159].

---

[157] Violence against women in the online space, Insights from a multi-country study in the Arab States, Summary report, UN women, 6-8; EuroMed Rights (Rep.), Lannazzone, S., Clough, L., & Griffon, L. 2021, <https://euromedrights.org/wp-content/uploads/2021/06/Online- gender-violence-in-MENA-region.pdf >

[158] Ibid.

[159] Ibid.

გამოსავლის ძიებაში

კიბერძალადობის სხვადასხვა ფორმებთან ეფექტურად საბრძოლველად, სახელმწიფოებმა ყოვლისმომცველი სამართლებრივი რეფორმა უნდა გაატარონ. პირველ რიგში, უნდა მოხდეს გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობის აღიარება სექსუალურ დანაშაულად. სისხლის სამართლის კოდექსი უნდა კრძალავდეს გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობის ყველა ფორმას, „დიპფეიკებისა" და ყალბი პორნოს ჩათვლით.

მნიშვნელოვანია, რომ კიბერძალადობის მარგულირებელი კანონების განსაზღვრისას, დამნაშავის მოტივაცია არ იყოს გადამწყვეტი, სხვა სექსუალური და სისხლის სამართლის დანაშაულების მსგავსად[160].

მნიშვნელოვანია, აღნიშნულ დანაშაულებს ჰქონდეს შესაბამისი სასჯელები, რასაც ექნება შემაკავებელი ეფექტი. დღეის მდგომარეობით, ინტიმური სურათების არაკონსენსუალური გავრცელებისას, საშუალო მაქსიმალური სასჯელი, ჩვეულებრივ, არის ერთიდან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა (გერმანია, პორტუგალია), ზოგიერთ ქვეყანაში კი სასჯელი 5-7 წლამდეც გვხვდება (ბელგია, იტალია, ირლანდია). ზოგ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება, შეიცვალოს ჯარიმით (ნიდერლანდები, ესპანეთი). თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯარიმა არის ან შეიძლება იყოს სასჯელის სავალდებულო ნაწილი (საფრანგეთში, სექსუალური გამოსახულების არაკონსენსუალური გავრცელებისთვის, დამნაშავე პირი დაჯარიმდება 60 000 ევრომდე, ხოლო იტალიაში - დიაპაზონი 5000 ევროდან 15 000 ევრომდე მერყეობს). სანქციების ეს მრავალფეროვნება ასახავს განსხვავებას სასჯელისა და თავისუფლების აღკვეთის ეროვნული მიდგომებს შორის, რომელიც იდენტიფიცირებულია სისხლის სამართლის ყველა დანაშაულში[161].

---

[160] Shattering Lives and Myths: A Report on Image-Based Sexual Abuse. Australian Research Council (ARC), McGlynn, C. et al, 2019, 1.

[161] Towards an EU criminal law on violence against women: The ambitions and limitations of the Commission's proposal to criminalise image-based sexual abuse, Carlotta Rigotti and Clare McGlynn, 2022, 467.

კიბერძალადობის გამოძიების ეფექტურობისთვის, საჭიროა, გაძლიერდეს თანამშრომლობები ქვეყნებს შორის და იმ ონლაინ პლატფორმებთან, რომელთა გამოყენებითაც ხორციელდება აღნიშნული დანაშაულები. დღეის მდგომარეობით, ზოგიერთი სოციალური ქსელი და აპლიკაცია თანამშრომლობს სამართალდამცავ სტრუქტურებთან და თავადაც იცავს შიდა წესებს, თუმცა, ეს არ ვრცელდება ყველა კომპანიაზე. ამ თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული რეგულაციების არსებობაც აფერხებს. ამიტომ, საჭიროა ერთიანი სტანდარტების და მიდგომების დანერგვა, რაც უმთავრესად, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობით უნდა განხორციელდეს, მათ შორის, იმ საერთაშორისო კონვენციების და ინსტრუმენტების ფარგლებში, რომელიც ამ ნაშრომში იყო მიმოხილული.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კიბერძალადობის პრევენცია და შესაბამისი პოლიტიკის გატარება სახელმწიფოების მიერ. კიბერუსაფრთხოების და კიბერძალადობის საკითხები უნდა ისწავლებოდეს სკოლებში, ხოლო პოლიცია და სხვა სპეციალისტები, ვისაც შეხება აქვს კიბერძალადობის მსხვერპლებთან, უნდა გადამზადდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის პროგრამები არსებობდეს, როგორც სამთავრობო, ისე - არასამთავრობო სექტორში. აღნიშნული სერვისები უნდა დაეყრდნოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს, როგორიცაა, მაგალითად, eSafety კომისრის ავსტრალიის ოფისი, ახალი ზელანდიის Netsafe და სამხრეთ კორეის ადვოკატირების ცენტრი, ონლაინ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის[162].

[162] Shattering Lives and Myths: A Report on Image-Based Sexual Abuse. Australian Research Council (ARC), McGlynn, C. et al, 2019, 16.